პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
პარასკევი
6 ივნისი
№ 130 (17773)
ფასი 2 კაპ.



საქალთაშორისო ცნობა

„სოიუზ ტ-2“ მიფრინავს

კოსმოსური სივრცის კვლევის შესაბამისად 1980 წლის 5 ივნისს, მოსკოვის დროით 17 საათსა და 19 წუთზე საბჭოთა კავშირში გაუშვეს „სოიუზ-ტ-2“ კოსმოსური ხომალდი, რომელსაც პილოტობს ეკიპაჟი — ხომალდის მეთაური პოდპოლკოვნიკი იური ვასილის ძე მალიშევი და ბორტინჟინერი საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვლადიმერ ვიქტორის ძე აქსიონოვი.

„სოიუზ ტ-2“ კოსმოსური ხომალდი წარმოადგენს „სოიუზ ტ“ სერიის სრულყოფილ სატრანსპორტო ხომალდს, რომელიც პირველად გავიდა დედამიწისირგვლივ ორბიტაზე ეკიპაჟით. აქამდე „სოიუზ ტ“ ხომალდმა წარმატებით გაიარა საფრენოსნო გამოცდა კოსმოსში უპილოტო ავტომატური ვარიანტით ფრენისას.

„სოიუზ ტ-2“ ხომალდის ფრენის პროგრამით გათვალისწინებულია პილოტირებულ რეჟიმში ხომალდის საბორტო სისტემათა შემდგომი გამოცდა და დახვეწა, „სოიუზ ტ-2“ კოსმოსური ხომალდის მართვის ახალი სისტემის გამოყენებით „სალუტ-6“-„სოიუზ-36“ ორბიტულ კომპლექსთან ერთად დინამიკური ოპერაციების მოწყობა.

„სოიუზ ტ-2“ ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. ამხანაგები მალიშევი და აქსიონოვი თავს კარგად გრძნობენ.

კოსმონავტები შეუდგნენ ფრენის პროგრამის შესრულებას.

იური ვასილის ძე მალიშევი

ვლადიმერ ვიქტორის ძე აქსიონოვი

ფურცლები ბიოგრაფიიდან

კოსმოსური ხომალდის მეთაური იური ვასილის ძე მალიშევი დაიბადა 1941 წლის 27 აგვისტოს ვოლგოგრადის ოლქის ქალაქ ნიკოლაევსკში.

1963 წელს მან დაამთავრა ხარკოვის მფრინავთა უმაღლესი სამხედრო-საავიაციო სასწავლებელი. შემდეგ სამხედრო-საჰაერო ძალებში მსახურობდა. საფრენოსნო მუშაობის დროს აითვისა რამდენიმე ტიპის თვითმფრინავი. აქვს „პირველი კლასის სამხედრო მფრინავისა“ და „მესამე კლასის გამომცდელი მფრინავის“ კვალიფიკაცია.

იური ვასილის ძე მალიშევი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1964 წლიდან.

კოსმონავტთა რაზმში ი. ვ. მალიშევი 1967 წლიდან მუშაობს. მან გაიარა კოსმოსური ფრენისათვის მზადების სრული კურსი.

1977 წელს იური ვასილის ძე მალიშევმა დაუსწრებლად დაამთავრა ი. ა. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია.

საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვლადიმერ ვიქტორის ძე აქსიონოვი დაიბადა 1935 წლის 1 თებერვალს რიაზანის ოლქის კასიმოვსკის რაიონის სოფელ გიბლიცში. 1953 წელს მიტიშჩის მანქანათსაშენებელი ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ იგი სამხედრო-საავიაციო სკოლის, ხოლო შემდეგ ჩუგუევის მფრინავთა სამხედრო-საავიაციო სასწავლებლის კურსანტი გახდა.

1957 წლიდან ვ. ვ. აქსიონოვი საკონსტრუქტორო ბიუროში მუშაობს. 1963 წელს მან სრულიად საკავშირო დაუსწრებელი პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა. მონაწილეობდა ახალ სისტემათა კოსმოსური აპარატების შემუშავებასა და გამოცდაში.

ვლადიმერ ვიქტორის ძე აქსიონოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1959 წლიდან.

კოსმონავტთა რაზმში ვ. ვ. აქსიონოვი 1973 წელს ჩაირიცხა. თავისი პირველი კოსმოსური ფრენა მან განახორციელა 1976 წელს, როცა „სოიუზ-22“ ხომალდის ბორტინჟინერი იყო.

ჯეროვანი მისალმება

საბოლოოდ [illegible] კოსმოსური ექსპერიმენტის წარმატებით დამთავრასთან დაკავშირებით [illegible] ტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა იანოშ კადარმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პალ ლომონციმ და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დიერდ ლაზარმა გამოუგზავნეს მისალმება და გულითადად მიულოცეს მთელ საბჭოთა ხალხს კოსმოსურ კვლევაში მიღწეული ახალი წარმატება.

მანევრირება ორბიტაზე

ფრენის მართვის ცენტრი, 4 ივნისი. (საკდესი). დამთავრდა დედამიწისირგვლივ ორბიტაზე ლეონიდ პოპოვისა და ვალერი რიუმინის მუშაობის მერვე კვირა.

სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ფრენის პროგრამის შესაბამისად დღეს განხორციელდა „სოიუზ-36“ კოსმოსური ხომალდის ხელახალი შეპირაპირება.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, „სოიუზ-36“ სატრანსპორტო ხომალდი, რომელმაც კოსმონავტები კუბასოვი და ფარკაში სადგურში მიიყვანა, შეპირაპირებული იყო საავრეგატო ნაკვეთურის მხრიდან.

19 საათსა და 38 წუთზე მოსკოვის დროით ხომალდი გამოეყო სადგურს და დაშორდა 180 მეტრ მანძილზე. გაანგარიშებულ დროს ჩაერთო ორივე კოსმოსური აპარატის ურთიერთძიებისა და დაახლოების სისტემები. სადგური 180 გრადუსით შემობრუნდა, შემდეგ მიადგა და შეუპირაპირდა გადასასვლელ ნაკვეთურზე მდებარე შესაპირაპირებელ კვანძს.

პირაპირის ჰერმეტულობის შემოწმების შემდეგ კოსმონავტები გავიდნენ სადგურში.

ხვალ ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი დაალაგებენ სადგურს, შეასრულებენ ფიზიკურ ვარჯიშს, დასვენებენ.

ეკიპაჟი თავს კარგად გრძნობს.

„სალუტ-6“-„სოიუზ-36“ ორბიტული კომპლექსის ფრენა გრძელდება.

სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

აფხაზეთის ასსრ ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და კულტურის განვითარებაში დიდი წვლილისათვის და დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი,
1980 წლის 4 ივნისი.

ნეიტრალის დაბალთავრიანი 1980

დამკვრელურ ნელს — დამკვრელური შრომა!

დავალება შეასრულეს

თბილისის ტრიკოტაჟის № 1 ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ე. თავაძე), რომელიც ძირითადად ბავშვებისათვის ზედა ტანსაცმელს უშვებს, შეასრულა მეათე ხუთწლედი. მან დღეისათვის მომხმარებელს გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი მანეთის ნაწარმი მიაწოდა. საწარმოო ოპერაციების დახვეწისა და ხარისხის კომპლექსური მართვის სისტემის დანერგვის შედეგად საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნულმა პროდუქციამ წარმოების მთლიან მოცულობაში 46,8 პროცენტი შეადგინა. ფაბრიკის კოლექტივმა ყაირათიანობისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაშიც სასურველ შედეგს მიაღწია. წარმოების ნარჩენების მაქსიმალურად გამოყენებით მეტრიკოტაჟეებმა 171 მილიონი მანეთი დაზოგეს. მომხმარებლის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა აქ დამზადებულმა ბავშვის შალის კოსტიუმებმა, რომლებიც ოლიმპიური სიმბოლიკით გამოდის. („კომ.“ კორ.).

ხუთწლედი—სექტემბრისათვის!

ჭიათურა. (საკ. კორ.). ახალგაზრდა სამთო ინჟინერ ბ. იაკობიძეს დიდი ხანი არ არის რაც დიმიტროვის სახელობის მაღაროს პირველი საწარმოო უბნის თავკაცობა მიანდეს. სწორედ აქ გამოვლინდა ამ სპეციალისტის ორგანიზატორული ნიჭი. მისი ხელმძღვანელობით უბნის კოლექტივმა ოთხი თვის დავალების გადამეტებით 3.390 ტონა მანგანუმის მადანი ამოიღო და 7,1 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

ახლა პირველუბნელები ხუთწლიანი გეგმის შესრულებას სექტემბრის დასაწყისისათვის ჰპირდებიან სამშობლოს. თავდადებით შრომობენ მოწინავე სამთოელები მ. ხარშილაძე, ბ. ნადირაძე, ი. დარბაიძე, ბ. ივანაშვილი, გ. იაკობიძე და სხვები, რომლებიც დღიურ დავალებებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ.

ალიოობა—80

ფართოვდება მოსავლის აღების ფრონტი

ფოთელწყარო, 5 ივნისი. (საქინფორმის კორ.). სიღნაღის რაიონის მიწათმოქმედთა კვალდაკვალ დღეს მარცვლეულის მკას შეუდგნენ წითელწყაროს რაიონის მექანიზატორები. პირველებმა გამოიყვანეს მინდორში აგრეგატები სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მშრომელებმა. კომბაინერებმა სოსო ყარაგეზაშვილმა, სურენ ჯანაშვილმა, გიორგი ნასარაშვილმა, გივი ტოკლიკიშვილმა დღის პირველ ნახევარში 5-6 ჰექტარზე აიღეს მოსავალი.

კოლმეურნეობის მიწათმოქმედებმა წელს უხვი მოსავალი მოიწიეს. აპრილისა და მაისის დღეებში წვიმდა საშემოდგომო მინდვრებში. კოლმეურნეებს შეჰქონდათ მინერალური სასუქები. პირველივე ნალეწი 32-35 ცენტნერი მარცვლეულია ჰექტარზე. გულმოდგინე გადამუშავების შემდეგ მარცვლეული სწყობში იგზავნება — უწინარეს ყოვლისა იქნება სათესი ფონდი, შემდეგ კი მარცვლეულს ელევატორში გაგზავნიან.

მალე მოსავლის აღება რაიონში მასობრივ ხასიათს მიიღებს. მინდორში გავა 33 მოსავლის ასაღები სატრანსპორტო რაზმი.

უკვე გაჩაღდა მხვნელ-მთესველთა სოციალისტური შეჯიბრება დეკეზით „უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალს 10-12 სამუშაო დღეში, ღირსეულად მოვიხდით ჩვენს ვალს სამშობლოს წინაშე, გადაჭარბებით შევასრულებთ მარცვლეულის წარმოების დავალებას“.

მკის ორგანიზებულად წარმოების მიზნით ფოთელწყაროს რაიკომში შეიქმნა სპეციალური შტაბი, რომელსაც ხელმძღვანელობს რაიკომის პირველი მდივანი ქ. ყარაულაშვილი. ასეთივე შტაბები შეუდგნენ მუშაობას რაიონის ყველა კოლმეურნეობაში.

საქართველოს ბეღლეში — წითელწყაროს რაიონში თავთავიანი მარცვლეული 20 ათას ჰექტარზე უნდა მოიწიონ.

პარტიული პროპაგანდა — ცხოვრების შუაგულში!

იდეოლოგიური მუშაობის პრაქტიკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ცხოვალში მოაწყო „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიხედვით იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის თეორიის, მეთოდიკისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემების შემსწავლელი საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებისა და პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების სკოლის გამსვლელი მეცადინეობა.

მეცადინეობაზე მოწვეული იყვნენ აგრეთვე ოლქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები.

მეცადინეობა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ვ. ქარუმიძემ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. სანაკოევმა.

გაიმართა იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გამოცდილების გაზიარება, საუბარი იმის შესახებ, თუ რა მუშაობა წარმოებს „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად პარტიულ ორგანოებსა და ორგანიზაციებში.

ამ საკითხზე გამოვიდნენ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. ცეცხლაძე, პარტიის სოხუმის რაიკომის მეორე მდივანი ძ. რეკვავა, პარტიის ბოგდანოვკის რაიკომის მეორე მდივანი პ. ვლასოვი, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი მ. დავითაშვილი, საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი რ. ურჯუმელაშვილი, პარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომის მეორე მდივანი ვ. იანკოვსკაია, კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჯანაევი.

მეცადინეობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. სანაკოევმა.

მეცადინეობის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას, აღზრდისადმი კომპლექსურ მიდგომას სკკპ XXV ყრილობისა და მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულების იდეოლოგიური უზრუნველყოფის საქმეში.

მეცადინეობის მონაწილეებმა გვირგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი, საღამოს კი მათთვის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ინტერნაციონალური მეგობრობის კონცერტი.

მეცადინეობის ბოლო დღეს მისმა მონაწილეებმა დაათვალიერეს ქ. ცხინვალის ღირსშესანიშნაობები, იყვნენ სამხრეთ ოსეთის რაიონებში, ადგილებზე გაეცნენ იდეოლოგიური მუშაობის გამოცდილებას.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ფარცლები ბიოგრაფიიდან



ვამოწმებთ მილეგული დადგენილების შესრულების მიმდინარეობას

გეკუთვნის?—უნდა მიიღო!

ანუ როგორ არღვევენ შრომის ანაზღაურების პრინციპს ქისტაურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში

ქისტაურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა ახმეტის რაიონში მოწინავეთა შორის იხსენიება. ყოველწლიურად სულ უფრო ნაყოფიერ იგრძნობა მეურნეობის აღმავლობა. სწორედ ქისტაურელმა მშრომელებმა „ყველა მარკეტინგს დევიზი: „ყველა მარკეტინგული შარშანდელზე უკეთესი!“ ამ თაოსნობას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა რაიონში. თვითონ ქისტაურელებს ძალი და ღონე არ დაუზოგავთ თავიანთი ინიციატივის სარეალიზაციოდ. მათ მარტო ხილმა და ყურძენმა შარშან 993.147 მანეთი მოგება მისცა, მეურნეობის საერთო წლიურმა მოგებამ კი 1 მილიონ 71.526 მანეთი შეადგინა, ხოლო მთლიანმა შემოსავალმა 2.889.478 მანეთს გადააჭარბა. ცხადია, ასეთი ნიმდიდრის შემქმნელი კოლექტივის თითოეულ წევრს გაწეული შრომისათვის ანაზღაურებაც შესაფერისი უნდა მიეღო. სწორედ ამ საკითხით დავინტერესდით.

ჩვენ ისიც ვიცოდით, რომ პარტიის ახმეტის რაიკომის ბიუროს შარშან ორჯერ (14 ივლისს და 15 დეკემბერს) იმსჯელა რაიონის საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების საკითხებზე: მაღალ, პრინციპულ დონეზე გააანალიზა რაიონში ამ მხრივ არსებული მდგომარეობა, დარღვევებისა და ნაკლოვანებების სალაყვიდაციოდ შემუშავა შესაბამისი ღონისძიებები. ჩვენ სწორედ რაიკომის მიერ ქისტაურის მეურნეობის საბჭოთა მეურნეობის შესახებ მიღებული ღონისძიების შესრულების შემოწმება განვიზრახეთ.

თავიდანვე ვამბობთ: სამწუხაროა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები საჯაროდ არ განუხილავთ მეურნეობაში. ამ დოკუმენტების მხოლოდ პარტიული კომიტეტის (მდივანი — ი. დალაქიშვილი) სხდომაზე განხილვით დაკმაყოფილდნენ, რაც შეეხება ათ პირველად პარტიულ ორგანიზაციებსა და მუშათა კომიტეტს (მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე — ლ. ჭილაშვილი) და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ისინი ამ საკითხით არც კი დაინტერესებულან. ამიტომაც, მართალია, კომუნისტთა უშუალო ჩარევით ზოგიერთი ნაკლოვანება გამოსწორდა, მაგრამ მათი უმრავლესობა ისევ ისე დარჩა. რაიკომის ბიუროს მასალებში მხილებული იყო, რომ ქისტაურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებს 1978 წლის შედეგების გაანალიზების დროს სრულიად უკანონოდ მოუხსნეს პროდუქციის დანამატი 9.846 მანეთი. ამ თანხიდან დღემდე მხოლოდ 1.965 მანეთის გაცემა მოახერხეს. მძიმე პირობებში მომუშავე ტრაქტორისტებისათვის მისაცემი (10 პროცენტი) 1.385 მანეთიდან 347 მანეთი აქლამ გაუცემელია.

ამავე დროს მეურნეობაში ერთ-ერთ უსაფრთხოდ აკეთებენ საშემოსავლო დანამატზე. დანამატზე დაკეთება ინსტრუქციის დარღვევით ხდება. საშემოსავლოს ერთდროულად წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი თანხის მიხედვით უკავებენ და არა იმ თვეების მიხედვით, როცა მუშამ დანამატი მიიღო. ამით თითოეული მუშისგან ერთ თანხას იღებენ.

—მე მეურნეობის მოწინავე მუშად ვითვლები, — გვეუბნება პირველი ჯგროუბნის მესამე ბრიგადის მუშა ლიდა მიკირტუმაშვილი, — ჩემ მიერ გამომუშავებულ ეკალდღეთა რაოდენობა ბევრით არ ჩამორჩება წლის ეალდღურულ დღეთა რიცხვს. ოჯახში შესანახი მყავს სამსრულო ომის ინვალიდი (ქვედა კიდურების დამბლიანი მეუღლე), ჩემს კმაყოფაზეა სტუდენტი შვილი, ჩემს მეტი სხვა არ ჰყავს, ღამეები გავტეხე, ძილიც მოვიკალი და დასვენებაც, „ბოვკვეენე აბრეშუმის ჭია და 246 კილოგრამი პარკი ჩავაბარე სახელმწიფოს. ამისათვის მე 2.400 მანეთი მივიღე, მაგრამ ეს არ გამოჩნდა არც პრემია-დანამატში და არც საპენსიო გაანგარიშებისას (საპენსიო თანხის გაანგარიშებისას 2.400 მანეთის მაგივრად მხოლოდ 400 მანეთი მიანგარიშეს). წინა წლებშიც 200 კილოგრამზე ნაკლები აბრეშუმის პარკი არ ჩამბარებია. ახლა კი იძულებული ვხდები საერთოდ ავიღო ხელი აბრეშუმის ჭიის გამოკვებაზე...

ასეთი და მსგავსი დარღვევებით იქნებ მართლაც საშემოსავლო საქმეს ვაფუჭებთ? მეაბრეშუმეობაც ხომ საქმო დარგია და მის მიმართ ასეთი დაუდევრობა უთუოდ დიდ შეცდომად ჩაითვლება. სხვა რომ არა იყოს რა, თვითონ ქისტაურის მეურნეობამ მეაბრეშუმეობიდან შარშან 10.699 მანეთი იზარალა. იქნებ ეს სწორედ ასეთი უხეირო ანგარიშის გამო მოხდა?

პიროვნების მიერ გაწეული შრომის საზომად, ძირითადად, ხელფასია მიჩნეული. როგორ არის დაჯილდოებული ხელფასის გაცემის ვადები ქისტაურის მეურნეობაში?

მუშებს ხელფასს თვეში ერთხელ აძლევენ. ეს მაშინ, როცა არსებული წესის თანახმად ორჯერ უნდა მიიღონ. დარღვეულია ხელფასის გაცემის ვადები. მუშები თვეში ორჯერ ან ერთხელ კი არა, უფრო დიდი დაგვიანებით იღებენ ფულს. მაგალითად, 1979 წლის იანვრის თვის ხელფასი 22 აპრილამდე, ამასთან მეურნეობა ეკონომიკურად ზარალობს, ჩვენი ფილიალის მომსახურებისათვის წლიურ გეგმაში შეიტანეთ 2.000 მანეთი, მათ კი წლის ბოლოს 4.613 მანეთი და 65 კაპიკი „წაგვართვეს“, მარტო დეკემბრის თვეში 737 მანეთი და 65 კაპიკი გადაგვაბდვინეს. გვესმის, რომ ეს ანგარიშის პროგრესული წესია, მაგრამ რა საჭიროა ისეთი პროგრესი, როცა ძვირი გვიჯდება ანგარიშგებაზე და საქმესაც გაუმჯობესება არ ეტყობა? ხელფასის გაცემის მდგომარეობა ვერა და ვერ მოგვარდა...

ქისტაურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში შრომის ანაზღაურების საქმეში გამოვლენილი ნაკლოვანებები იმის ლოგიკური შედეგია, რომ ახმეტის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველო (უფროსი — ა. ჭუნაშვილი), სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რაიკომი (თავმჯდომარე, — ლ. ფუნთუშაშვილი) ჯერ კიდევ ვერ ახორციელებენ საჭირო კონტროლს ამ საკითხებისადმი ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული ინსტრუქციებისა და დებულებების ზუსტი დაცვისათვის. ეს კი შრომის ანაზღაურების საკითხის დიდი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობის უგულებელყოფაა.

მუშა დროულად და სრულად უნდა იღებდეს შრომის საზღაურს — ასეთია პარტიის კურსი, რომელიც მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას ითვალისწინებს. ყველა, ხელმძღვანელი იქნება იგი თუ უშუალო პასუხისმგებელი პირი, ვალდებულია მიაუვეს ამ უტყუარ კურსს.

დ. გერგიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მევენახეობა რესპუბლიკური შეკრების წინ

მარცვლეულის წარმოება, მეცხოველეობა იყო ოდითგანვე შირაქის ველისა და წითელწყაროს რაიონის ეკონომიკის განსაზღვრელი. მათ გვერდში ამოუდგა ეფექტიანი დარგი — მევენახეობა. ვენახის საერთო ფართობს უკანასკნელ ოთხ-ხუთ წელიწადში 3.700 ჰექტარი შეემატა. აქედან 3.140 ჰექტარი მსწმოიარეა, ვენახმა ფეხი მოიკიდა ტარიბანის, ხილიჩის, ეაკე-თელაწყლის მინდვრებში.

კოლმეურნეობათა გამგეობები, პარტიული ორგანიზაციები სულ ახალ-ახალ ღონისძიებებს სახავენ ამ პერსპექტიული დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

ამ დღეებში ვენახების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე სპეციალისტები, ხელმძღვანელი ამხანაგები, დამთვალიერებლები ვერ მალავდნენ კარგად მოვლილი ვენახების ხილვით გამოწვეულ აღფრთოვანებას. იშვიათად თუ შეინიშნებოდა რამე დაუდევრობა, ბალახმოდებული ნიადაგი. და რაც მთავარია, ვაზს მშვენივრად ასხია.

ყოველივე ეს ითქვა დათვალიერების შედეგების შეჯამებისას, რომელსაც ესწრებოდნენ ამხანაგები: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ლ. ზაქაიძე, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი შ. ეცადაშვილი, მინისტრის პირველი მოადგილე გ. ყიფიანი, „საქსახსოფლტექნიკის“ რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარე დ. სარიშვილი, მისი პირველი მოადგილე მ. თევდორაშვილი.

დღეს წითელწყაროში

კოლმეურნეობას მეორე ადგილი ხვდა წილად. კარგად დამუშავებული ვენახები აქვთ აგრეთვე ზემო ქედის, ზემო მაჩხაანის, ჯაფარიძისა და ოზაანის კოლმეურნეობებს.

რაიონის პარტიული, სამეურნეო აქტივის, სოფლის მეურნეობის მუშაკების ამ დიდ მიღწევებთან ერთად გულახდილად, პრინციპულად ითქვა არსებულ ნაკლოვანებებზე და ხარვეზებზე. კერძოდ, ზოგან ბალახმოდებული ვენახები აქვთ სოფლების არბოშიკის, ქვემო ქედის, საბათლოს კოლმეურნეობებს. მთლიანად რაიონში შპალრზე გადასაყვანია 327 ჰექტარი ორწლიანი და სამწლიანი ვენახები. ეს გამოწვეულია ზოგიერთი მასალის, ბოძის, მავთულის, მანქანების სათადარიგო ნაწილების ნაკლებობით.

თავიანთ გამოსვლებში ლ. ზაქაიძემ, შ. ეცადაშვილმა, დ. სარიშვილმა, წითელწყაროს სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ფიროსმანაშვილმა, ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. ყოჩიაშვილმა და სხვებმა პირდაპირ თქვეს, რომ ჩვენს სახელოვან, გამრჯე მევენახეებს ისე არ ვემსახურებით და ისე ვერ ვუწყობთ ხელს შრომაში, როგორც ეკუთვნით. ვენახებში არ არის საკმარისი საჩრდილობები, დასასვენებელი კარვები, ორგანიზებული არ არის საშუშად გასვლა, მოუწესრიგებელია საზოგადოებრივი კვება, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურება.

ამ შენიშვნებს თავიანთ გამოსვლებში პასუხი გასცეს სამთაწყაროს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ა. ვეშაგურმა, წითელწყაროს ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რ. თეთვაძემ, მევენახე ბრიგადირმა კ. ეგანისაშვილმა, „საქსახსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების მთავარმა ინჟინერმა გ. ნათელაძემ. მათვე აღუთქვეს რაიონის აქტივს, რომ ყოველ ღონეს იხმარენ შემჩნეულ ნაკლოვანებათა უახლოეს ვადებში გამოსასწორებლად.

საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ქ. ყარაულაშვილმა რწმენა გამოთქვა, რომ რაიონის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები, მევენახეები არ დასჯერდებიან მიღწევებს და ყველაფერს იღონებენ, რათა პირნათლად შეასრულონ დათქმული სიტყვა.

ვლ. მჟედლიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

კომუნისტი: გზის კვეთაზე

სამგზავრო ტრანსპორტის აწმყო და მომავალი

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის ჩვენი ღირსეული მზადება, უწინარეს ყოვლისა, კონკრეტული საქმეებით უნდა გამოიხატებოდეს. იგი მით უფრო ფართო და საყოველთაო იქნება, რაც უფრო მეტი საჭირბოროტო საკითხი გადაიჭრება, რაც უფრო გაუმჯობესდება რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურება. დედაქალაქის სინამდვილეში, მაგალითად, ეს ნიშნავს წყლით მომარაგების მოგვარებას, სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობის მკვეთრ, ძირეულ გარდაქმნას, სატელეფონო ქსელის არანორმალურობა თ ა დაძლევას, საერთოდ, საქალაქო მეურნეობის უკეთ წარმართვას...

ე. შეკარდნაძე

დიდი ქალაქის პრობლემები

ბოლა ავტობუსში ჩაჯდომა ხშირად პრობლემად იქცევა ხოლმე. იმიტომ კი არა, თითქოს თბილისელებს უტრანსპორტოდ ფეხის გადადგმა ეზარებოდეთ, სრულიადაც არ. ციფრები გვიჩვენებს, რომ თბილისელები ხშირად როდი მიმართავენ მას. 1940 წელს, მაგალითად, ჩვენი ქალაქის მკვიდრნი საშუალოდ წელიწადში 410-ჯერ სხდებოდნენ ტრანსპორტში, 1978 წელს კი ამ ციფრმა 416 შეადგინა.

ამ წლების მანძილზე ქალაქში მცხოვრებთა რიცხვმა მილიონს გადააჭარბა, რამაც მგზავრების გადაყვანა 213 მილიონი კაციდან 434-მდე გაზარდა წელიწადში. მაგრამ განა შეეძლო ამ გაზრდილმა ავტობუსების რიცხვი ტრანსპორტის პრობლემა, თუ მგზავრთა რიცხვი მხოლოდ გაორკეცდა, ტრანსპორტი კი გაცილებით მეტად გაიზარდა?

მართალია, 1940 წელს ნახევარმილიონიან თბილისს ხომ, არსებითად, ტრამვაის გარდა სხვა სამგზავრო საშუალება არ ჰქონდა. მას კი წელიწადში 194,3 მილიონი კაცი გადაჰყავდა (მგზავრთა მთლიანი მოცულობის 91,4 პროცენტი), ტროლეიბუსებ ი ს ა და ავტობუსების ხვედრითი წილი მგზავრთა გადაყვანაში შესაბამისად 4,5 და 4,1 პროცენტს შეადგენდა. და, მიუხედავად ამისა, ქალაქი სამგზავრო ტრანსპორტის პრობლემას ასე მწვავედ არ გრძნობდა.

მაშ რა მოხდა ახლა? შეგვიმატა ახალი ტრანსპორტი (მეტროპოლიტენი, საბაგირო გზები) და, ასე ვთქვათ, ტრანსპორტის ქვესახეობანი (ექსპრესები, ნახევარექსპრესები და მიკროავტობუსები), ძირფესვიანად შეიცვალა ამა თუ იმ სატრანსპორტო საშუალების როლი. სხვათა შორის, ახლა ავტობუსებს 1978 წლის მონაცემებით გადაჰყავთ მგზავრთა საერთო მოცულობის 42,6 პროცენტი, მეტროპოლიტენს — 27,7, ტროლეიბუსებს — 15,6, ხოლო ტრამვაის — მხოლოდ 14,1 პროცენტი. თუ 1940 წელს ყველა საქალაქო ტრანსპორტის მარშრუტების რიცხვი ოცსაც კი ვერ აღწევდა, 1979 წელს 82 საავტობუსო მარშრუტი იყო და ყოველდღიურად ხაზზე საშუალოდ 542 ავტობუსი გამოდიოდა. საექსპრესო მარშრუტების რიცხვი შეადგენდა 7 (21ე ავტობუსი), ნახევარექსპრესი — 7 (42 ავტობუსი), მიკროავტობუსები — 19 (114 მანქანა), მეტროპოლიტენი — 2 (27 მატარებელი, 101 ვაგონი), ტროლეიბუსი — 14 (135 მანქანა), ტრამვაი 11 (82 ვაგონი), საბაგირო — 5 (მათ შორის ფუნიკულორი).

ხედავთ, რა უზარმაზარი ტრანსპორტი ემსახურება მოსახლეობას! განა ეს არ არის იმ დიდი ზრუნვისა და მონდომების დასტური, რომელსაც ახორციელებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა საერთოდ და კერძოდ დედაქალაქის ხელისუფლება, რათა გადაწყვიტოს ტრანსპორტის პრობლემა? მაშ რატომ გამწვავდა ასე ეს საკითხი? რატომ არის, რომ ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტი თავს ვერ აერთმევს ამოცანას? რატომ არის, რომ პიკ-საათებში ქალაქს, განსაკუთრებით ავჭალის გზატკეცილის რაიონს, ტრანსპორტის ციებ-ცხელება აუტყდება ხოლმე?

რა თქმა უნდა, პიკ-საათი თბილისური გამოგონება არ გახლავთ. მაგრამ ის, რაც ჩვენს ქალაქში ხდება, განსაკუთრებით სამგორისა და დიდუბის მეტროს სადგურებთან, ყოველგვარ ნორმებს სცილდება და კალმით არ აიწერება. აქაურობა იქცევა ხალხით, რომელიც მიიჩქარის ქარხანაში თუ დაწესებულებაში, ან შინ, და იერიშს იერიშზე მიაქვს ტრამვაის ვაგონებზე თუ ავტომანქანებზე. ზოგჯერ, პირდაპირ, სასოწარკვეთილებამდე მიდიხარ. და როცა ასეთ ჟამს რომელიმე მხსნელი „ხალტურა“, გამოჩნდება, არაფერს არ დაეძგრ და მიძვრები მანქანაში. ვრძელ და ვიწრო ოქტომბრის ქუჩასა და ავჭალის გზატკეცილს, რომელიც მჭიდროდ არის დასახლებული და ქალაქის რამდენიმე მსხვილ საწარმოს ემსახურება, „აჰკიდებია“ კიდევ თქმის დასახლება და გლდანის მასივი, თავისი უამრავი მოსახლეობით და გაძლიერებული სამანიო მშენებლობით. მოედინება და მოედინება ხალხი, მანქანები — სატვირთო, მსუბუქი და ავტობუსები, ტრამვაი. ამ მაგისტრალზე გადის 27 ავტობუსის, 6 მიკროავტობუსის და 8 ტრამვაის მარშრუტი. . და წამდაუწუმ ფერხდება მოძრაობა, რაც მრავალი მოქალაქისათვის ნამდვილ ოდისეა იქცა.

ფაქტია, რომ ტრამვაი-ტროლეიბუსები წინანდელზე ნაკლები დატვირთვით არ მუშაობენ. წინა წელთან შედარებით შარშან მომუშავე „ტრამვაის რიცხვი გაიზარდა 75-დან 82-მდე, ხოლო გადაყვანილი მგზავრების რიცხვი, 15,5 პროცენტით შემცირდა. ტროლეიბუსის ხაზზე, შესაბამისად, მოქმედი მანქანების რიცხვის გაზრდის მიუხედავად მგზავრთა გადაყვანა შემცირდა 12 პროცენტით. ეს მხოლოდ და მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ძალზე მატულობს უბილეთო მგზავრების რიცხვი ანუ კლებულობს შემოსავალი და მატულობს ზარალი.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა ავტობუსებზეც. მით უმეტეს, რომ ნახევარექსპრესებში ბილეთების გაყიდვა ცუდად არის ორგანიზებული. და თუ იმასაც დავუმატებთ, რომ აქაც უბილეთოთა რაოდენობა 15 პროცენტს შეადგენს, მაშინ ცხადია, რომ ტრანსპორტის სალაროს საგრძნობი თანხა აკლდება.

ტრანსპორტის ტევადობის გაზრდის მიუხედავად, იგი აშკარად არ გვყოფნის. **ერთი მიზეზი, რაც აფერხებს მოძრაობას, ეს არის მაგისტრალური გზების ნაკლებობა და მათი ზედმეტი დატვირთვა,** ვერც ერთი სანერობის მიწისზედა სამგზავრო ტრანსპორტი ვერ ასრულებს წლიური ბრუნვის გეგმებს. ეს 1975-1979 წლების მთელი ხუთწლეულის მანძილზე შეიმჩნევა.

მოდით, საგანგებოდ გავარჩიოთ თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების შარშანდელი მოღვაწეობები. ავტობუსებმა გეგმას დააკლეს 234.350 ბრუნვა, ნახევარექსპრესებმა — 12435, ექსპრესებმა — 18107, მიკროავტობუსებმა — 25269, ტრამვაიმ— 62478, ტროლეიბუსებმა — 42418; სულ 395.057. რა თქმა უნდა, ამის გამო, ბევრი მგზავრი მოუმსახურებელი დარჩა. ე. ი. საკმაო თანხა სატრასპორტო მეურნეობის შემოსავალს დააკლდა. გარდა ამისა ბრუნვის გ ე გ მ ი ს შეუსრულებლობამ 12 პროცენტით შეამცირა გაჩერებებზე მანქანების მისვლის სიხშირე და ამდენადვე გაზარდა თითოეული მგზავრის ლოდინის საშუალო დრო.

მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც აგრეთვე აფერხებს ბრუნვას. შემთხვევითი არ არის, რომ ბრუნვის გეგმის შეუსრულებლობის პროცენტი საშუალოს აღემატება ნახევარექსპრესებისათვის. ეს უშუალოდ არის დაკავშირებული იმასთან, რომ ამ მანქანებში ბილეთები არ იყიდება და მძღოლები სრულიად უკონტროლოდ თვითონ იღებენ მგზავრობის საფასურს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტრანსპორტის მოძრაობა მით უფრო ფერხდება, რაც უფრო აქტიურად აგროვებს მგზავრობის ფულს მძღოლი, რაც უფრო დაინტერესებული ხდება იგი ავტობუსის (ტრამვაის, ტროლეიბუსის) სალაროთი.

იმედით...

რა სამარცხვინო მოვლენაა! დააკვირდით ავტობუსებს გაჩერებებზე: ზოგიერთი მძღოლი ჯერ ჩამსვლელებს გაატარებს წინა კარიდან და მხოლოდ შემდეგ ხსნის დანარჩენ კარებს ჩასასხდომად, თვითონ კი (ბოლო გაჩერებებზე) დისპეტჩერს მიაშურებს ხოლმე საგზაო ფურცლის რეგისტრაციისათვის. მას, უკაცრავად და ნაკლებად ინტერესებს გრაფიკი და დგას ბოლო გაჩერებაზე, სანამ სალონი ხალხით არ გაიქედება.

იქმნება ფულით დაინტერესება. დაინტერესება არა რეისების რაოდენობით და გრაფიკის შესრულებით, არამედ მგზავრობის საფასურის შეგროვებით. და ჩვენ ტრანსპორტის მოძრაობასა და ბრუნვას ვერ დავაჩქარებთ, სანამ ქვითკირის გალავანს არ აღემართავთ მძღოლებსა და ფულის ოპერაციებს შორის. **ქალაქის ყოველგვარი მიწისზედა ტრანსპორტის მიერ ბრუნვის გეგმების სისტემატური და საყოველთაო შესრულება** — აი უდიდესი რეზერვი, რომელიც გამოუყენებელია, თუმცა-და გვერდით გვიდევს.

უდაოა, რომ დედაქალაქში ბოლო დროს ბევრი რამ გაკეთდა სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობის შესამსუბუქებლად. ამ თვალსაზრისით ძალზე შეგვიყოფ ხელი გმირთა მოედნის რეკონსტრუქციამ, პლეხანოვისა და ჩელუსკინელთა ქუჩის გაჯვარედინზე მძღოლების რაციონალიზაციამ, მიწისქვეშა გადასასვლელებმა და ზოგიერთ ქუჩაზე ცალმხრივი მოძრაობის შემოღებამ. მაგრამ ეს მხოლოდ ცენტრში კეთდება. თანაც, ზოგჯერ, ცალმხრივი მოძრაობა თვითმიზანი ხდება და არღვევს სხვადასხვა ტრანსპორტის მუშაობის კოორდინაციას, არ ითვალისწინებს მოსახლეობის საჭიროებებს.

მაგალითისათვის ავიღოთ ლესელიძის ქუჩა, რომელიც დიდ, დასახლებულ, დაწესებულებებითა და ღირსშესანიშნაობებით სავსე რაიონს ემსახურება. აქ ახლა ფეხით თუ გაისეირნებ ცენტრიდან, თორემ სხვაგვარად ვერ მოხვდები. აქ უთუოდ ორმხრივი მოძრაობა უნდა იყოს, ავტობუსებისათვის მაინც. ან პავლოვისა და ვაჟა-ფშაველას პრსპექტები ავიღოთ. ვგრძებ, გაუმართლებელი უნდა იყოს ფართო მაგისტრალების ცალმხრივი დატვირთვა, ძალზე დაზარალდა მეტროპოლიტენი, რომელიც ყოველდღიურად ათასობით მგზავრს კარგავს, რადგან საბურთალოს მასივიდან მთელი ტრანსპორტი პავლოვის ქუჩით მოედინება და ჩვერდს უვლის მეტროს სადგურს.

მოძრაობის დაჩქარება, რა თქმა უნდა, კარგი საქმეა, მაგრამ ჩვენს პირობებში ყოველისშემძლე არ არის. საერთოდ რომ ვთქვათ, თბილისი ტრანსპორტის პრობლემის წარმატებით გადაჭრის თვალსაზრისით ურთულესი ქალაქია: მთაგორიანი რელიეფი, მთებს შორის მოქცეული ვიწრო ცენტრალური ნაწილი, გასწვრივი მაგისტრალების დიდი ნაკლებობა და მკირეგამტარიანობა... ქალაქი თითქმის მოკლებულია განივ მაგისტრალებს, რომელთა გაყვანას აბრკოლებს რკინიგზის ხაზი და თბილისის ზღვის მიმდებარე ფერდობების უწესრიგო განაშენიანება. ამ მიმართულებით გასასვლელები კი ცოტაა, მოუხერხებელი და ნაკლებად გამტარუნარიანია, ხუდადოვის ქუჩის გარდა. ეს რომ არა, უკვე ახლა შეიძლებოდა სამგზავრო ტრანსპორტის ნაწილი, რომელიც ამჟამად ავჭალის გზატკეცილით მიდის თემქისა და გლდანის დასახლებებისაკენ, თბილისის ზღვისპირა გზით წასულიყო. თუ დღეს ასეა, ხვალ რაღა იქნება, როცა თბილისის ზღვას ყოველმხრივ შემოეკედრება ნაგებობანი, მისი ნაპირები კი ქალაქის მოსახლეობის სასურვველი და კეთილმოწყობილი დასასვენებელი ადგილი გახდება. მაშინ ეს გზა ზღვის გარშემო უდიდეს მნიშვნელობას შეიძენს, მაგრამ იმ პირობით, რომ გამოსასვლელი ექნება ქალაქის ძველ ნაწილში.

აი ერთ-ერთი ის სატრანსპორტო სიძნელე, რომელიც წამოიჭრა თბილისის სწრაფი ზრდის გამო. ქალაქი უკვე თითქმის 40 კილომეტრზე გადაიჭიმა. თანაც სულ უფრო იზრდება სიგანეზე, ფეხს იკიდებს თბილისის ზღვის გაღმა და გზას იკვლევს დიღმისა და სამხედრო გზის იქით. ამის გამო იზრდება სატრანსპორტო მარშრუტების სიგრძე და მგზავრობის საშუალო მანძილი.

მაგალითად, № 11 ავტობუსის მარშრუტის სიგრძე 13,5 კილომეტრია, № 9-ისა — 14,4 კილომეტრი, № 62-ისა — 13 კილომეტრი. საავტობუსო მარშრუტების საშუალო სიგრძე უკანასკნელი 20 წლის მანძილზე გაორკეცდა და 1979 წელს ავტობუსებისათვის შეადგენდა 8 კილომეტრს, ექსპრესებისათვის — 18,3 კილომეტრს, ნახევარექსპრესებისათვის — 14,8 კილომეტრს, მიკროავტობუსებისათვის — 8,7 კილომეტრს. და კიდევ ერთი ციფრი. 1960 წელს საქალაქო ავტობუსებმა 202,4 მილიონი მგზავრ-კილომეტრი გაიარეთეს, 1978 წელს — 1407,1 მილიონი მგზავრ-კილომეტრი. მოსახლეობა ამ დროის მანძილზე 49 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ხალხის გადაყვანა, მანძილის გათვალისწინებით, — 7-ჯერ. ახლა მხედველობაში მიიღეთ მოძრაობის სიჩქარის შენელება და თვალწინ წარმოგიდგებათ ტრანსპორტზე ქალაქის გაზრდილი მოთხოვნილების ნამდვილი სურათი.

ტრანსპორტის მუშაობის მოსაწესრიგებლად საჭიროა გაიზარდოს ელექტროტრანსპორტის ქსელი: ტროლეიბუსებისა—135-დან 250-მდე, ტრამვაისა — 82-დან 180-მდე. ელექტროტრანსპორტის შეუფასებლ ო ბ ი თ (რომლის მნიშვნელობაც კიდევ უფრო გაიზარდა ახლა სახლოო მეურნეობაში ბენზინის დაზოგვის აუცილებლობის გამო), შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ 1979 წელს, 1960 წელთან შედარებით, მკვეთრად შეამცირეს მგზავრების გადაყვანა თბილისის ტროლეიბუსებმა (8,5 მილიონი კაცით) და ტრამვაიმ (74,7 მილიონით ანუ 60 პროცენტით).

და ამ დროს ტ რ ა მ ვ ა ი ს ხაზის აყრას აპირებენ კალინინის ქუჩაზე. ამბობენ, სამაგიეროდ ტროლეიბუსები ივლიანო. მერედა, რამდენი დაჯდება ეს. განა უკეთესი არ იქნება, ამ ფულით სხვაგან გაიყვანონ ტროლეიბუსის ახალი ხაზი?

სათქმელია ისიც, რომ ავჭალის მიმართულებით ტრანსპორტის მუშაობაში ახლანდელი სიძნელეები არ გვექნებოდა, თემქის, გლდანის მასივისა და სხვა ერთიდან ავჭალის მიმართულებით თავის დროზე რიგიანად რომ დაეგეგმათ ქალაქის საგზაო მშენებლობა — ყოველად უხეში შეცდომებიც კი დაუშვეს ამ მხრივ. გაუგებრობაა, რომ შეჩერდა მეტროპოლიტენის ძირითადი მაგისტრალის მშენებლობა და უწინარესად საბურთალოს ხაზი გავიდა, როცა ქალაქი უმთავრესად თემქის, გლდანისა და ვარკეთილის დასახლებათა ხარჯზე იზრდებოდა. ამ მიმართულებებით მშენებლობა რომ არ შეეჩერებინათ, ღრმაღელესა და თემქის მეტროსადგურები 3 წლის წინათ ამუშავდებოდა, ახლა კი გლდანამდე და ვარკეთილამდე ივლიდა მეტროს მატარებლები. ეს ნიშნავს, რომ ავჭალის გზატკეცილი დიდი ხნის წინათ განიტვირთებოდა ზედმეტი ტრანსპორტისაგან, ავტობუსების სამარშრუტო მანძილი 2-3-4-ჯერ შემცირდებოდა და არავითარი ავჭალის ტრანსპორტის პრობლემა აღარ იდგებოდა. ახლა ქალაქს ძვირი უჯდება ოდესღაც დაშვებული ეს შეცდომები.

მეტროს მიიგი მიმართულებების შერჩევაში, დაპროექტებასა და მშენებლობაში დაშვებული ზოგიერთი შეცდომის გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლება. კერძოდ, ალარ უნდა გამორდეს თბილისში მეტროს ძირითად ხაზებზე ე. წ. „სათამაშო“, ოთხვაგონიანი შემადგენლობისათვის გათვალისწინებული სადგურების აგება. ამჟამად წამოიჭრა საკითხი, რომ 5 ვაგონამდე გაფართოვდეს არსებული სადგურები. მაგრამ ესეც არ კმარა. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მგზავრთა ნაკადი მომავალში შეიძლება გასამეკადეს და დღეში მილიონს მიაღწიოს. ახლავე უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მთავარი ხაზის სადგურები 6-ვაგონიანი მოძრაობისათვის მოვამზადოთ.

ამ ხაზის გამტარუნარიანობის შემდგომი გადიდება დამოკიდებულია მოძრაობის მართვის ავტომატიზაციაზეც, რაც საშუალებას მოგვცემს თითქმის ორჯერ, 1,5 წუთამდე შევამციროთ მატარებლებს შორის ინტერვალები. ამისათვის უკვე ემზადებიან და თბილისის მეტროპოლიტენის სამთველომ ყოველნაირად უნდა დააჩქაროს ეს საქმე.

საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ მეტრო თბილისისათვის მეტისმეტად დიდმნიშვნელოვანი ტრანსპორტია და უფლება არა გვაქვს დავუშვათ ნეგატიური მოვლენების რეციდივები.

ახლა წყდება უმნიშვნელოვანესი საკითხი, საით განაგრძონ მეტროშენებლობა, როცა 1985 წელს მწყობრში ჩადგება გლდანისა და ვარკეთილის მასივები? სპეციალისტ ორგანიზაციები უფრო იმ აზრს ადგანან, რომ შეწყვიტონ ამ ხაზის შემდგომი მშენებლობა და დაიწყონ ახალი შტოს გაყვანა დიდი დიღმის მიმართულებით.

რატომ? იქნებ შეიცვალა ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმა და გადაწყდა აღარ განაგრძონ საბინაო მშენებლობა თბილისის ზღვის გარშემო? სრულიადაც არა. ეს მშენებლობა გაგრძელდება მთელ უზარმაზარ ფართობზე ზღვის გაღმა-გამოღმა და იმის იქითაც. ეს ქალაქის მთავარი სამშენებლო რეზერვია, რომელმაც მომავალ ოცწლეულში კიდევ სულ ცოტა 600 ათასი მცხოვრები უნდა დაიტიოს. მერე, ტრანსპორტი? არის თუ არა რაიმე შესაძლებლობა, მეტროს გარდა, იმისათვის, რომ მომავლის ამ უდიდესი (თანაც ზღვით მოჭრილი) რაიონების მოსახლეობას ნორმალური კავშირი ჰქონდეს დანარჩენ ქალაქთან. თვითონ დამპროექტებლები ამბობენ, არაო. მაშ, რას ვუპირებთ ამ ასიათასამიათ ადამიანს? გავიმეოროთ, თანაც უფრო დიდი მასშტაბით ის, რაც ამჟამად ავჭალის გზატკეცილზე ხდება? ალტერნატივა არც არის და არც შეიძლება იყოს! მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ დიდი დიღომი ქალაქის ცენტრს კეთილმოწყობილი და შედარებით მოკლე გზით— საქართველოს სამხედრო გზატკეცილით დაუკავშირდება! გარდა ამისა, უკვე დაპროექტებულია ფართო ტრასა და მტკვარზე ხიდი, რომელიც დიდ დიღომს ავჭალის გზატკეცილთან დაკავშირებს უშუალოდ გლდანის მეტროს სადგურთან.

ეეჰ, მაგალ როდის მოვესწრებითო, შეიძლება იფიქროს უტრანსპორტობით ბეტანჯოლმა გლდანელებმა და სხვებმა.

სასოწარკვეთილებისათვის საფუძველი არ არის, ვიმეორებ, საკითხისადმი დღევანდელი მიდგომის პირობებში.

ქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის პრობლემის ყოველმხრივ შესწავლა უფლებას გვაძლევს სავსებით დასაბუთებულად მოვთხოვოთ სატრანსპორტო, საგზაო-სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციებს დღესვე რადიკალურად გაუმჯობესონ მოსახლეობის მომსახურება ქალაქო ტრანსპორტით.

განა არ შეიძლება მნიშვნელოვნად შევამოქმოთ აეჭალის მიმართულების ავტობუსების მარშრუტები, თუ სწყის გაჩერებას ვიგულის მოედნიდან გადასასვლელი ხიდის მახლობლად მდებარე მოედანზე და იქვე, თოფურიძის ქუჩაზე გადავიტანთ, განა არ შეიძლება ექსპრესის გარდა ავტობუსისა და მიკროავტობუსის თუნდაც ერთი პირდაპირი რეისი დავიწესოთ ვიგულიდან გლდანამდე? განა არ შეიძლება უფრო მეტი საავტობუსო მარშრუტები დავნიშნოთ ელექტროფეხა მეტროს სადგურიდან? განა არ შეიძლება რამდენადმე გავზარდოთ ავტობუსების რიცხვი ყველაზე ხალხმრავალ მარშრუტებზე, ისე, რომ პიკის საათებში ისინი 3-4 წუთის ინტერვალით დადიოდნენ? განა არ შეიძლება ამავე საათებში ელექტროდეპოს და დიდუბის მეტროს სადგურებიდან პირდაპირი, უგაჩერებო სპეციალური ავტობუსები გავუშვათ თემქისა და გლდანის დასახლებებამდე? იტყვით: იმის რაღა ვუყოთ, რომ ავჭალის გზატკეცილ ამდენი ტრანსპორტის გატარება არ შეუძლია და მანქანები იქედაო?

დიახ, ამ ძნელი ვითარება შეიქმნა, რომელიც კიდევ უფრო გართულეს ქუჩების დამპროექტებლებმა და მშენებლებმა. ავჭალის გზატკეცილის პარალელური ჩარგლის ქუჩა უმოკლესი გზაა თემქის დასახლებამდე, ის ცენტრამდე. ახლა კი არა, ჯერ კიდევ 20 წლის წინათ უნდა შეეერთებინათ იგი ავჭალის გზატკეცილთან საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოთა საპროექტო ინსტიტუტის ან საყოფაცხოვრებო სახლის მიდამოებში. მაგრამ ეს დღემდე არ გაკეთებულა. მაშინვე უნდა გაეგრძელებინათ იგი თემქის დასახლებამდე. არც ეს გაკეთებულა. თანაც, თუ ესტეკადების მეშვეობით ჩარგლის ქუჩას გლდანის მასივამდე მივიყვანთ, რა პირდაპირი და მოკლე გზა იქნებოდა და როგორ განტვირთავდა ავჭალის გზატკეცილს. მაგრამ, ვაი რომ, მთავარი არქიტექტორის გაწყოფილებას მხოლოდ ახლა გაახსენდა ეს და 20 წლის დაგვიანებით დაიწყო მისი დაპროექტება. აქ სხვა ტემპია საჭირო.

დიდი მნიშვნელობა აქვს მუხრანის ქუჩასაც, რომელიც პირდაპირ გადის ზღვასთან. აქაც ვერ შეაფასეს ჯეროვნად მისი ამჟამინდელი და პერსპექტიული მნიშვნელობა. იმთავითვე საჭირო იყო რამდენადმე შეემცირებინათ მისი აღმართი ამ ქუჩის ბოლოს, რაც საშუალებას მოგვცემდა ამ გზით ზღვის ნაპირისკენ გაგვეშვა დიდი ავტობუსები გლდანის მასივებამდე. ეს გზა ახლაც კი გამოდგება კავზ-685 ოცადგილიანი ავტობუსებისათვის, რომლებიც განტვირთავდნენ ავჭალის გზატკეცილს.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ჩვენ დღესვე გვაქვს შესაძლებლობანი მოვაგვაროთ საქალაქო ტრანსპორტის მუშაობა ყველაზე დატვირთულ მონაკვეთებზე, მაშ რა არის ამისათვის უწინარესად საჭირო? წესრიგი ტრანსპორტის მუშაობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებში: წამოჭრილი ამოცანების ხელმძღვანელობისა და წარმატებით გადაჭრის, დიახ, გადაჭრის უნარი!

ვლ. მდივანი.

თ. დავითაშვილი,

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი

თუ ვინმეს აღელვებს მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების ჯერ კიდევ დაბალი დონე, გასაგებია, რომ ყველაზე მეტად — საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლექტივს და მის ხელმძღვანელობას. ეს ჩვენთვის უპირველესი პრობლემაა.

მე არაერთხელ მითქვამს დიდი ტრიბუნიდან — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომებზე, რომ ჩვენ თბილისის მოსახლეობასთან დიდ ვალში ვართ.

ვლადიმერ მდივნის წერილში აღძრული საკითხები . სწორია, პრინციპულ მიდგომას, მთელ ჩვენს გულისყურს მოითხოვს. დეტალებზე და ზოგიერთ დასაზუსტებელ ციფრებსა და გაანგარიშებებზე არ არის ლაპარაკი. იქნებ, მისი ესა თუ ის კონკრეტული წინადადებაც სადავო იყოს. მაგრამ მთლიანად მისაღები და ხვალინდელ მუშაობაში გასათვალისწინებელია სტატიის მთავარი დებულებები, ძირითადი მიმართულებანი, სტატიის . სულისკვეთება, რადგან იგი მართებულ სურათს წარმოგვიდგენს და მოსახლეობის ინტერესს გამოხატავს. ასეთი სავალალო მდგომარეობა მით უფრო შეუწყნარებელია, რომ ბოლო წლებში უურადღება პრობლემისადმი განსაკუთრებით გამძაფრდა, რასაც, ცხადია, მეტი ნაყოფი უნდა გამოეღო, მარტო ის რად ღირს, რომ მკვეთრად გაუმჯობესდა მძღოლთა მატერიალური პირობები. თუ წინათ მათი საშუალო თვიური ხელფასი 80-90 მანეთი იყო, ახლა თვეში 300-350 მანეთს იღებენ, ტრამვაი-ტროლეიბუსების მძღოლები კი 200-300 მანეთს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის მხრივ ასეთი დახმარება პრინციპულად ცვლის მომთხოვნელობის საზომს, გადაუდებელს ხდის საკითხის მოგვარებას. წინათ ხომ ყველა ნაკლის ასახსნელად მცირე ხელფასი იყო მომიზეზებული.

მატერიალური სტიმულირება დღეს მორალურთან არის შეხამებული. მინდა მოგაგონოთ, რომ მძღოლების მუშაობისა და ცხოვრების გაუმჯობესების პირობებზე განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ამხანაგმა ე. შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე. მძღოლების შრომისა და საქმიანობისათვის ესოდენ მაღალი შეფასება აქამდე არავის არ მიუცია. სწორედ ამ პოპულარიზაციისა და ყურადღების შედეგია, რომ ბევრი მძღოლი წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას და ღირსეულ შეხვედრის უმზადს XXVI ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

თქვენც გთხოვთ და მკითხველსაც სწორად გამიგოთ. თითქოსდა ამჯერად, როცა ასე მწვავედ ვიხილავთ ტრანსპორტის ნაკლოვანებებს, მოუქნელობას, უადგილოა რაიმე დადებითსა და წარმატებაზე საუბარი. მაგრამ ვინაიდან ჩვენ პრობლემის ყოველმხრივ შესწავლისა და გაშუქებისათვის ვართ შეკრებილი და „მრგვალი მაგიდის“ მასალებს „ბჟობის ფურცელი“ აერთიანებს, მე უბრალოდ მიმაჩნია, რომ უფლება არა მაქვს ზემოთ აღნიშნულს გვერდი ავუარო, რადგან არსებითი, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

ტრანსპორტზე დაძაბული ვითარების გამოსწორების ერთ-ერთ ყველაზე რეალურ, ეფექტიან და უახლოეს ღონისძიებად ეგრეთ წოდებული დიფერენციული გრაფიკი მიმაჩნია. თუ 8 საათსა და 30 წუთზე ქალაქში ავტობუსები თითქმის ცარიელი დადის, უკვე 8 საათსა და 40 წუთიდან 400 ათასამდე თბილისელს დროის მცირე მონაკვეთში, 20 წუთის განმავლობაში, უხდება ახლის ახლო გაჩერებიდან სამსახურში წასვლა.

სხვა რესპუბლიკებში სხვაგვარად არის გადაწყვეტილი ეს საკითხი. მაგალითად, მოსკოვის, ლენინგრადის, მოკავშირე რესპუბლიკების დიდ ქალაქებში მოქმედებს პიკის საათის დიფერენციული გრაფიკი, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ არათუ სხვადასხვა საწარმო, არამედ ერთი საწარმოს სხვადასხვა საამქროც კი სხვადასხვა დროს იწყებს მუშაობას.

ჩვენთან, გლდანის მასივში, ყველა სამრეწველო საწარმო ერთსა და იმავე დროს იწყებს მუშაობას. ეს ეხება მთელ ლენინის რაიონს, მის ყველა საწარმოს. სწორედ იმიტომ, რომ საწარმოებში მეტროს სადგურ „დიდუბიდან“ ამ მიმართულებით ერთდროულად მგზავრთა დიდი ნაკადის გადაყვანაა საჭირო, მეტისმეტად იტვირთება ავჭალის გზატკეცილის, მაგისტრალი და ავტობუსების სიჩქარე საათში 5-8 კილომეტრამდე მცირდება, მაშინ როცა ადამიანს გაცილებით სწრაფად შეუძლია სიარული.

რატომ არ შეიძლება, რომ ელექტროვაგონშემკეთებელმა ქარხანამ 7 საათზე დაიწყოს მუშაობა, კონიაკის ქარხანამ კი 7 საათსა და 30 წუთზე, დანარჩენმა საწარმოდაწესებულებებმა სხვა დროს? მერწმუნეთ, ქალაქის მოსახლეობა დიდ შვებას იგრძნობს, მაშასადამე, უნდა დავუბრუნდეთ დადგენილებებს, რომელიც ქალაქის საბჭოს აქვს მიღებული, და შეასრულოთ ისინი.

ო. ეჯიბაძე,

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე

ალგათ მოგვიხდება ზემდგომ ორგანოებში საქალაქო ტრანსპორტის მუშაობის თაობაზე რამდენიმე საკითხის განმეორებით დასმა, რადგან მთავრობის დადგენილებათა ზოგიერთი მუხლი არ ხორციელდება.

სწორედ ეს მიმაჩნია თბილისის სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურების საქმეში ამჟამად არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა პირველწყაროდ.

ჩემი აზრით, მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთი ყველაზე რეალური რეზერვი დისციპლინის განმტკიცება ყველა სახეობის ტრანსპორტზე, ტრანსპორტთან დაკავშირებულ ყველა ორგანოსა და ორგანიზაციაში, ყველა სატრანსპორტო რგოლსა და კოლექტივში.

ზოგჯერ ქალაქში ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტი გამოდის, რის გამოც მარშრუტების გრაფიკი ირღვევა. ამიტომ საავარიო სამსახური მეტი პასუხისმგებლობით უნდა მუშაობდეს.

ქალაქის საბჭოს აღმასკომსაც მეტი თანამიმდევრულობა, პრინციპულობა და მომთხოვნელობა გამართებს.

ს. მიქაძე,

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მგზავრთა გადაყვანის სამმართველოს უფროსი

მდგომარეობა განსაკუთრებით გართულებულია გლდანის, თემქის, ვარკეთილის და ვაზისუბნის მასივებში. ვფიქრობ, საჭიროა აქ მისასვლელი გზები ისე მოეწყოს, რომ შესაძლებელი გახდეს დიდი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა, გაიზარდოს მასივებზე გამავალი მაგისტრალების გამტარუნარიანობა, მანძილები გაჩერებებს შორის და შეეცირდეს პარალელურად მოქმედი მარშრუტები.

პიკის საათებში გადატვირთულ მარშრუტებზე ვზრდით მანქანების რაოდენობას, ამისათვის საქალაქთაშორისო მარშრუტ ე ბ ზე დაკავებულ ავტობუსებსაც კი ვიყენებთ, ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის პრობლემების გადაჭრის და მომსახურების კულტურის ამაღლების მიზნით დამუშავებულია ქალაქის წარმოება-დაწესებულებების,

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ!“

5 ივნისს ახალი დევიზით გაიმართა თბილისში საქართველოს ტელევიზიის მეგობართა პირველი რესპუბლიკური შეკრება. ამ შეკრებით რესპუბლიკაში ოფიციალურად გაიხსნა ბუნების დაცვის ერთიანი.

შეკრების პრეზიდიუმში იყვნენ: ნ. ბაბაევი პ. გ. გილაშვილი, ზ. ა. ბოტკარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ა. ჩერქეზია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. ბერიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ვადაჭკორია, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშქარავა, ...ელი, სსრ კავშირის იურისკონსულტი ...ოთა გარემოს დაცვის პრობლემათა კომისიის წარმომადგენელი ...ნ. სმირნოვი, ცნობილი მოგზაური და მეცნიერი, ცენტრალური ტელევიზიით „კინომოგზაურობის კლუბის“ პროგრამის წამყვანი ი. ა. სენკევიჩი, უკრაინელი და ბელორუსი სტუმრები.

შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ.

ბუნების დაცვისა და მის სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენების კონტროლის შემდგომი გაძლიერების ძირითად პრობლემებს მიუძღვნა თავისი მოხსენება საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ი. ჯაჯანავამ.

შეკრება დიდი ხანია გულდასმით მზადდებოდა, მისი გახსნის დღისადმი გამოიცა ლამაზად გაფორმებული პროგრამები და ბუკლეტები, რომლებითაც ვეცნობით ბუნების დაცვის ენთუზიასტებს. შეკრების თითოეულმა მონაწილემ მიიღო ბროშურა, რომელშიც არის გარემო ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომპლექსური პრობლემებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. ეს რეკომენდაციები მოქმედების სახელმძღვანელო გახდება.

ერთი სიტყვით, ბუნების დაცვისათვის მუშაობა რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუდმივი ზრუნვის მეოხებით თვისებრივად ახალ საფეხურზე ავიდა. უნდა ითქვას: ასე საფუძვლიანად, ასე კონკრეტულად ჯერ არ გვიმუშავია ამ დარგში, ეს სავსებით გასაგებია. კაცობრიობის წინაშე მდგომი ბევრი პრობლემა — სასურსათო, ენერგეტიკული პრობლემები, სამრეწველო და სოციალური განვითარების საკითხები გადაუწყვეტელი დარჩება, თუ ეფექტიანად არ დავიცავთ და არ გავაუმჯობესებთ გარემო ბუნებას. ამოცანა ის არის, რომ გონივრულად, რაციონალურად გამოვიყენოთ ბუნების რესურსები ახლანდელ და მომავალ თაობათა ინტერესებისათვის.

სწორედ ამ ზრუნვით იყო გამსჭვალული შეკრების მონაწილეთა გამოსვლები, რაც აისახა კიდეც აქ მიღებულ მიმართვაში და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი გაგზავნილ მისასალმებელ წერილში.

შეკრების მონაწილეები სხვადასხვა თაობის, პროფესიის ადამიანები არიან, მაგრამ ყველას ანათესავებს ერთი გრძნობა — ბუნების სიყვარული, მისი სიმდიდრის გამრავლებისადმი მისწრაფება. დღეს მას ათასობით მოხალისე თანაშემწე და ქომაგი ჰყავს. ერთი მათგანია თეთრი წყაროს რაიონის დაბა მანგლისის მცხოვრები, 60 წლის ზაქარია დევსურიშვილი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, მეორე ჯგუფის ინვალიდი. მას დიდი ხანია მოსვენებას არ აძლევდა აზრი, რომ მანგლისის რაიონის ოდესღაც ხშირი მცენარეულობით დაფარული მთები ასე გაშიშვლდა. და მან მიზნად დაისახა ფერდობებისათვის დაბრუნებინა პირველქმნილი სილამაზე. თავისი ჭეშმარიტად ტიტანური გარჯით მან დაამტკიცა, რომ ადამიანი ბუნების მეუფეა. ამ ენთუზიასტმა მარტოდმარტომ დაუბრუნა სიცოცხლე დაახლოებით ოც ჰექტარ მიწას. მან მთის ფერდობები დაიცვა ეროზიის დამღუპველი ზეგავლენისაგან და გაახარა სილამაზით უბადლო ფოთლოვანი ტყე. ახლა ზ. დევსურიშვილს სხვა იდეა ამოძრავებს — მანგლისის შესასვლელთან ტყეპარკი გააშენოს...

ამ მოამაგის საქმიანობა ბუნებისადმი სათუთი დამოკიდებულების კეთილშობილური მაგალითიც არის და იმათი გაკიცხვაც, ვინც ბევრს იღებს მისგან, სანაცვლოდ კი არაფერს არ აძლევს.

შეკრებაზე წაიკითხეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ყველაზე თავგამოჩენილი ბუნების მეგობრების პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

რა თქმა უნდა, ბუნების დაცვის საქმეში ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გადასაწყვეტი პრობლემა გვაქვს. ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში გადიდდა ჰაერის აუზის, წყლის, ნიადაგის გაჭუჭყიანება. მთელ რიგ შემთხვევებში ნელა ინერგება უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესები. მაგრამ გარემო ბუნების დაცვის საკითხებისადმი პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ყურადღება, სულ უფრო მეტი ადამიანის მისწრაფება ბუნების დაცვისადმი კარგ წანამძღვრებს ქმნის ნაკლოვანებათა წარმატებული აღმოფხვრისათვის. სწორედ ამიტომაც გახდა მისი დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის განვითარების ყოველწლიური სახელმწიფო გეგმების განუყოფელი ნაწილი. ისინი გამოიყოფა დამოუკიდებელ კარად, მათი მიხედვით დაწესებულია შესაბამისი სახელმწიფოებრივი ანგარიშგება.

სწორედ ამიტომაც ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებანი კანონის ძალას იძენს.

იმავე დღეს საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გაიხსნა თვითმოქმედი მხატვრებისა და ხალხური შემოქმედების ოსტატთა ნაშუშევრების რესპუბლიკური გამოფენა „ბუნება და ფანტაზია“.

შეკრების მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი სადღესასწაულო კონცერტი.

შეკრება დამთავრდა, ბუნების დაცვის ერთთვიური კი მხოლოდ ახლა იწყება. ყოველი მისი დღე ზუსტად არის განაწილებული. ეს არის ბუნების მეგობართა შეხვედრები სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან, მეცნიერებთან. ეს არის კონფერენციები, თათბირ-სემინარები, სპეციალური ლიტერატურის გამოფენები, ეკოლოგიურ თემაზე შექმნილი ფილმების ჩვენება. ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებაში, დაინტერესებულ უწყებათა გარდა, ჩაბმული არიან პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

ერთთვიურის დროს სპეციალური გეგმით რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში, ყოველ საწარმოსა და დაწესებულებაში მოეწყობა შესაბამისი ღონისძიებანი. (საქინფორმი).

ეკონომიკა
ორგანული
ბიულეტენი

მიზანი: ეკონომია!

მოსკოვი გაიმართა უმაღლესი ლიგის რეგბისტთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეშვიდე ტურის მატჩები. შედეგები ასეთია: მოსკოვის „ლოკომოტივი“-სამხედრო-საპაერო აკადემიის გუნდი (მოსკოვის ოლქი) — 0:3, ლენინგრადის „პრიმორეცი“-ქუთაისის „სახლმშენი“ — 6:10, თბილისის „ლოკომოტივი“-კიევის „პოლიტეხნიკი“ — 6:3, მოსკოვის „ფილი“-კიევის „ავიატორი“ — 6:0, „მოსკოვის „სლავა-“-კრასნოიარსკის „პოლიტეხნიკი“ — 15:7. მერვე ტურის წინ ლიდერობს სამხედრო-საპაერო აკადემიის გუნდი— 21 ქულა. თბილისის „ლოკომოტივი“ და კიევის „ავიატორი“ — 15-15 ქულით შეოთხე-მეხუთე ადგილებს ინაწილებენ. ქუთაისის „სახლმშენი“ 11 ქულით მერვე ადგილზეა.

პირველი წრის დამთავრებამდე დარჩა ორი ტური. თბილისელთა და ქუთაისელთა ამოცანაა, რომ ათ გუნდს შორის საუკეთესო ექვსეულში დაიმკვიდრონ ადგილი. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოიპოვებენ ისინი საპრიზო ადგილებისათვის ფინალურ ექვსეულში თამაშის უფლებას.

უმლიერესის სახელისათვის

ნანა ალექსანდრიას წინათაც არაერთგზის მიუღია მონაწილეობა საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატში, მაგრამ ახლანდელ შემადგენლობას იგი ნაკლებად იცნობს. ნანას პირველად მოუხდა შეხვედრა ზუგდიდელ მოსწავლესთან, ოსტატობის კანდიდატ თორიასთან. ამ პარტიაში მძაფრი ბრძოლა გაიმართა. შეწყვეტილ პოზიციაში მატერიალურად თანაბარი მდგომარეობაა, მაგრამ წინ კიდევ ხანგრძლივი ბრძოლაა მოსალოდნელი.

პირველი ტურის ცენტრალური პარტია საერთაშორისო ოსტატ ზაინიკასა და ოსტატ ჩიქოვანს შორის ასევე დაუმთავრებელი დარჩა. ზაინიკს ზედმეტი პაიკი აქვს.

ოსტატი სტურუა, რომელმაც წელს ბრწყინვალედ მოიგო ძლიერი შემადგენლობის საერთაშორისო ტურნირი ჩეხოსლოვაკიაში, ახლა პირველი ადგილის ერთ-ერთ პრეტენდენტად ითვლება. მან დიდი მატერიალური უპირატესობა მოიპოვა დ. გურგენიძესთან. როცა სტურუას ენდშპილში ეტლის წინააღმდეგ ორი მსუბუქი ფიგურა და ორი ზედმეტი პაიკი დარჩა, გურგენიძეს დანებება მოუხდა. სხვაგვარად წარმართა აზმაიფარაშვილ-ნეურონოვის შეხვედრა. ნეურონოვმა დებიუტი უზუსტოდ გაითამაშა და ვეღარ შეძლო მრავალრიცხოვანი შუქარის მოგერიება. აზმაიფარაშვილმა პირდაპირი იერიშით მიაღწია წარმატებას.

გ. გამრეკელი.

სატურნირო ორგიტა

მძლეოსნობა. ლენინგრადში გამართული საკავშირო თასის გათამაშების ზონალურ შეჯიბრებაში ო. მ ი ა ს ნ ი კ ო ვ მა (ბელორუსია) 110 მეტრზე თარჯიბენში საკავშირო რეკორდი დაამყარა — 13,41 წამი. ჩერნიგოვში, ასევე ზონალურ ასპარეზობაში, თავი ისახელა ჩვენმა ოდესელმა თანამემამულემ ნუნუ აბაშიძემ. იგი ბირთვის კვრაში იყო უძლიერესი — 17,72 მეტრი.

ჩოგბურთი. მინსკში დამთავრდა საკავშირო ასპარეზობა სსრ კავშირის გმირის, მინსკელი ანატოლი გროშევის პრიზებზე. ვაჟთა ერთიეულთა ფინალში გავიდნენ თბილისელი ა. მეტრეველი და ბაქოელი რ. ახმეროვი. ქართველმა სპორტსმენმა, მართალია, პირველი პარტია წააგო (2:6), მაგრამ შემდგომ ჩვეული შემართებით ითამაშა და გაიმარჯვა (6:0, 6:3). მეტრეველმა და ახმეროვმა ერთად ითამაშეს წყვილთა შეჯიბრებაში და პირველობა მოიპოვეს. ქალთა შორის უძლიერესი იყო მოსკოველი ე. პატრულინა, ქალთა წყვილებში — მინსკელები ნ. ბოროდინა და ს. კორზუნი, შერეულ წყვილებში — ს. ჩერნეევა (მოსკოვი) და ა. დემიდენკო (მინსკი).

ფუალხტომა. თბილისში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში უძლიერესის სახელი დაისაკუთრა პენზელმა ი. კალინინმა (721,890 ქულა). მეორე ადგილი დაიკავა კიეველმა ჟ. ცირიულნიკოვამ (684,135), მესამე — სტავროპოლელმა ე. გუსლიანიკოვამ (655,085). თბილისელი ლიანა ცოტაძე ამჯერად მეექვსე ადგილს დასჯერდა (626, 625).

ველოსპორტი. დიდი ბრიტანეთის გზებზე მიმდინარე მრავალდღიანი ველოსრბოლის („რძის ტური“) 9 ეტაპის შემდეგ ლიდერობს სსრ კავშირის ნაკრები — 99 საათი, 43 წუთი და 6 წამი. მომდევნო ადგილებზე არიან შვედები — 100:04.23 და პოლონელები — 100:08.23.

ბადრაკი. ერევანში დაიწყო საერთაშორისო ასპარეზობა, რომელიც საბჭოთა სომხეთის მე-60 წლისთავს ეძღვნება. პირველ ტურში რომანინშინმა დამარცხა დობოში (პოლონეთი), გრიგორიანმა — სუნიე (ბრაზილია), ვიტოლინშმა — ვადასი (უნგრეთი), ლპუტიანმა — ვაპანიანი. ყაიმით დამთავრდა ტალისა და ძნეევეიჩის (იუგოსლავია) შეხვედრა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

რედაქტორი
გ. გედინეიშვილი

საერთაშორისო ცხოვრება

დღეს ამ ნომერში

საკავშირო წოდებათა მინიჭება

„ა ყ ვ ა ვ დ ი, ტ უ რ ფ ა ქ ვ ე ყ ა ნ ა ვ!“

ეს თეტიკური ალფაზეთა ბალეტის მეგობრთა პირველი რესპუბლიკური შეკრება

ვ ა ზ ი ა რ ო თ ყ მ ა ნ ვ ი ლ ე ბ ი მ ო ვ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ა ს

ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო - მ ე თ ო დ ი კ ურ ს ე ს ი ა ზ ე

გ ა ი ხ ს ნ ა გ ა მ ო ფ ე ნ ა

კ ვ ლ ა ვ დ ა ძ ა გ უ ლ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ა

ი რ ა ნ - ე რ ა ყ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ზ ე

ი რ ა ნ ი ს ა მ ბ ე ბ ი ს გ ა მ ო

მ ს ო ფ ლ ი ო ს უ დ ი დ ე ს ი ძ ა ლ ა ე ბ ი

შ ე თ ქ მ უ ლ ნ ი გ ა ნ ს ა ს ჯ ე ლ თ ა ს კ ა მ ზ ე

მ ძ ე ვ ა ლ თ ა პ რ ო ბ ლ ე მ ა

ფ ო ტ ო ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ა დ გ ე ნ ე ნ ს ა ფ ი ქ ს ბ ე ბ ს

უ კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ი ს ა ტ მ ო ს ფ ე რ ო ს ი

გვატყობინებენ საკავშირო და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები

გაიხსნა გამოფენა

სოფია. აქ მეშვიდედ გაიხსნა საბჭოთა აკადემიური წიგნის გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერების უახლესი გამოცემანი ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ელექტრონიკის, ეკონომიკის, სამართლის, ლიტერატურის პრობლემებზე, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვა საკითხებზე.

წელს გამოფენაში მონაწილეობს მოსკოვის გამომცემლობა „ნაუკა“, რომელმაც წარმოადგინა დაახლოებით 500 სხვადასხვა გამოცემა, და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერება“, რომელმაც გამოფენაზე 210 წიგნი გამოიტანა.

კვლავ დაძაბული მდგომარეობაა

ლონდონი, 5 ივნისი. კვლავ დაძაბული ვითარებაა წყნარი ოკეანის ახალი ჰებრიდების არქიპელაგზე. ამ არქიპელაგის ერთ-ერთ ესპირიტუ-სანტოს კუნძულზე ამას წინათ მოხდა მთავრობის საწინააღმდეგო გადატრიალება, რომელიც მოაწყო ადგილობრივმა პლანტატორმა ჯ. სტეფენსმა. იგი დაკავშირებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეულ წრეებთან. როგორც გაზეთი „გარდიანი“ იუწყება, ესპირიტუ-სანტოს რადიოსადგურმა გამოაცხადა, რომ კუნძულზე შეიქმნა ახალი სახელმწიფო და მთავრობა სტეფენსის შეთაურობით და კუნძულს გამოეცალა სახელწოდება.

წარმოშობილ დაძაბულობასთან დაკავშირებით ესპირიტუ-სანტოდან უკვე გახიზნულია 1400 კაცი. კუნძულის მოსახლეობა დაახლოებით 5 ათასს შეადგენს.

ახალი ჰებრიდები, რომლებმაც დამოუკიდებლობა უნდა მიიღოს 30 ივნისს, 1887 წლიდან საფრანგეთისა და ინგლისის ერთობლივი სამფლობელოა. მაგრამ უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე, ინგლისის პრესის მონაცემების მიხედვით, ინგლისისა და საფრანგეთის ადმინისტრაციას შორის შესამჩნევად გაძლიერდა უთანხმოება, რითაც ისარგებლეს პუტჩისტებმა.

ლონდონმა და პარიზმა უკვე გამართეს მოლაპარაკება ესპირიტუ-სანტოში გადატრიალებასთან დაკავშირებით. როგორც პრესა აღნიშნავს, ამ მოლაპარაკებას არაფერი არ მოჰყოლია, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ საფრანგეთი და ინგლისი იძულებული გახდებიან გამოიყენონ სამხედრო ძალა.

ირან-ერაყის საზღვარზე

თეირანი, 5 ივნისი. როგორც ირანის ფარსის სააგენტო იუწყება, ირან-ერაყის საზღვარზე გრძელდება შეიარაღებული ინციდენტები ირანისა და ერაყის ჯარებს შორის.

სააგენტო იმოწმებს ირანის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის წარმომადგენლის განცხადებას და იტყობინება, რომ გასული დღე-ღამის განმავლობაში „ერაყის ჯარებმა სამჯერ მიიტანეს იერიში ირანის ჯარების პოზიციებზე“ ქალაქ ყასრე-შირინისა და ილამის რაიონში, ავრეთვე ბაპრამადის, დარ-ჰორის, ბარანაზნის, დარბანჯოყის, ყალე-სიფიდისა და ბაბაჰადის ქანდარმთა საგუშაგოებზე.

შეტაკებათა დროს, აღნიშნულია ცხობაში, ორივე მხარემ გამოიყენა მძიმე არტილერია, ტანკები და ნაღმსატყორცნები.

ბაღდადი. ერაყის საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა ერაყის სასაზღვრო ჯარების წარმომადგენლის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ უკანასკნელი დღეების მანძილზე ირანის მხარემ რამდენჯერმე მიმართა პროვოკაციულ მოქმედებას ერაყის წინააღმდეგ ერაყ-ირანის საზღვარზე, რამაც ერაყის სასაზღვრო ჯარები აიძულა განეხორციელებინა საპასუხო ღონისძიებანი.

ირანის ამბების გამო

ნიუ-იორკი. როგორც „ნიუსდეი“ იუწყება, ფორტ-ბრაგის (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი) სამხედრო ბაზის ვრცელ ტერიტორიაზე მანევრებს განაგრძობენ 82-ე საპაერო-სადესანტო დივიზიის „რჩეული ნაწილები“, რომლებიც ხვეწენ ირანის მსგავს უდაბნოში საპაერო დესანტის გადასხმის ოპერაციას. ამ სამხედრო წვრთნაში მონაწილეობენ მძიმე სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები „ს-141“.

როგორც შტაბის ოფიცერთა გამონათქვამებიდან ჩანს, აღნიშნავს „ნიუსდეი“, მედესანტეების წინაშე დასახულია სავსებით კონკრეტული ამოცანა — მოემზადონ ირანის ტერიტორიაზე გადასასხმელად, რის შესახებაც ბრძანება შეიძლება „უკვე უახლოეს დღეებში“ გასცენ. გაზეთი აღნიშნავს, რომ დესანტის „სცენარი“ არ გამორიცხავს ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებას. „პენტაგონის მიერ ამ სცენარის დამუშავება ცარიელი უსაგნო ლაპარაკი როდია“, — ხაზს უსვამს „ნიუსდეი“, მისი ცნობებით, მალე საჰრსეთის ყურის რაიონში გაიგზავნება მძიმე იარაღით დატვირთული ორი დიდი ტრანსპორტი.

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი კვლავ აძლიერებს ამერიკის მოკავშირეებზე ზემოქმედების კამპანიას, ცდილობს მიაღწიოს იმას, რომ ისინი სავსებით დაემორჩილონ ვაშინგტონის დიქტატს და შეუერთდნენ ანტიირანულ „სანქციებს“. კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრი ესპინი ოაკის გამოსვლაში უხეშად დაესხა თავს დასავლეთ ევროპის ქვეყნებს და ბრალად დასდო მათ „ირანის ხელშეწყობა“. იგი აღშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა მოკავშირეები „თაღლითობენ“ და არ ასრულებენ ოკეანის გაღმიდან თავსმოხვეულ ირანის საწინააღმდეგო „სანქციებს“.

მსოფლიოს უდიდესი ძალაქები

ლანეტის ყველაზე დიდი ქალაქი მოსახლეობის რაოდენობით შანხაია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველწლიურ გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ შანხაიში 10 მილიონ 820 ათასი მცხოვრებია. მეორე ადგილზეა მეხიკო, რომლის მოსახლეობა 8.988.230-ს აღწევს, ხოლო მესამეზე — ტოკიო, სადაც 8.545.775 კაცი ცხოვრობს.

შეთქმულნი განსასჯელთა სკამზე

მანილა, 5 ივნისი. აქ სამხედრო ტრიბუნალის სასამართლოს წინაშე წარდგა ამერიკის შეერთებულ შტატებში განლაგებულ და ფილიპინების ახლანდელი მთავრობისადმი მტრულ ორგანიზაციებთან დაკავშირებულ შეთქმულთა ჯგუფი.

ისინი დააპატიმრეს გასული წლის დამლევს და ბრალად დასდეს ძირგამომთხრელი, მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ტერორისტებმა რამდენიმე დიდი ხანძარი გააჩინეს დიდი მანილის რაიონში და მთავრობის წევრებზე დივერსიებისა და თავდასხმების სერიას ამზადებდნენ. შეთქმულთა სამალებიდან ამოღებულია ამერიკის შეერთებული შტატებიდან არალეგალურად მიწოდებული დიდძალი იარაღი და ასაფთქმელი ნივთიერებანი, აგრეთვე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სპეციალური ინსტრუქციები დივერსიულ-ტერორისტული ოპერაციების მოწყობისათვის.

როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, მთავარი ორგანიზატორები შეთქმულებისა, რომლის მიზანი იყო ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება, შეერთებულ შტატებში იმალებიან.

... ...

ათ წელზე მეტია, არ წყდება სროლა ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქებში. მოსახლეობა პოლიციელთა თავდასხმების, ჩხრეკა-დაპატიმრების ვითარებაში ცხოვრობს. ქვეყნის პროგრესული საზოგადოებრიობა ილაშქრებს კონსერვატიული მთავრობის აგრესიული ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ.

სურათზე: ბელფასტში გამართული საპროტესტო მიტინგის მონაწილენი.

საკლისის ფოტოქრონიკა.

ადგენენ საშიშ გეგმებს

დელი, 5 ივნისი. ამ ბოლო თვეებში ჩინეთმა გააძლიერა დიპლომატიური აქტიურობა, წერს ინდური გაზეთი „პეტრიოტი“. ამას ადასტურებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ხუა გოფენის გამგზავრება ტოკიოში, პრემიერის მოადგილის გენ ბიაოს მეთაურობით ჩინეთის სამხედრო დელეგაციის მოლაპარაკება ვაშინგტონში. ეს ვიზიტები, აღნიშნავს გაზეთი, მოგვაგონებს შეთქმულთა კონტაქტებს, რომლებიც აზიის ხალხთა და მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის ზურგსუკან საშიშ გეგმებს ადგენენ.

ჩინეთის ხელმძღვანელობა, განაგრძობს „პეტრიოტი“, სულ უფრო აქტიურად უჭერს მხარს კონტრრევოლუციასა და იმპერიალისტურ აგრესიას მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, იარაღის მთავარი მომწოდებელია პაკისტანისათვის ავღანელი ხალხისა და მისი კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომის საწარმოებლად. პეკინმა საბოლოოდ გამოამჟღავნა თავისი თვალთმაქცობა, სიცრუე და დემაგოგია.

პეკინელმა ლიდერებმა, აღნიშნავს გაზეთი, კარგად იციან, რომ სწორედ საბჭოთა კავშირი გადაულახავ ზღუდედ დგას მათი მსოფლიო ბატონობის დიდხანური გეგმების განხორციელების გზაზე, წარმოადგენს მთავარ ძალას, რომელიც მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსა და ხალხის უშიშროებასა და სუვერენიტეტს იცავს. ამიტომ, აი უკვე მრავალი წელია ანტისაბჭოურობა მაოისტური იდეოლოგიის ძირითადი ღერძია და პეკინის ხელმძღვანელობას აკავშირებს ყველაზე რეაქციულ ძალებთან, რომლებიც თავიანთ პოლიტიკაში საბჭოთა კავშირისადმი, სოციალიზმისადმი სიძულვილს ქადაგებენ.

სწორედ ამ კონტექსტით უნდა განვიხილოთ ჩინეთის დაახლოება ნატოს, ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის გარკვეულ წრეებთან, დიქტატორულ და ფაშისტურ რეჟიმებთან.

უკმაყოფილების ატმოსფეროში

ნიუ-იორკი. შეერთებულ შტატებში დამთავრდა პირველადი არჩევნები. ცხრა შტატში გამართულ უკანასკნელი ტურის შედეგებს არ მოჰყოლია სიურპრიზები და არ შეუცვლია ორი ბურჟუაზიული პარტიის — დემოკრატიულისა და რესპუბლიკურის წამყვან კანდიდატთა შორის ძალთა განლაგება. წინასწარი გაანგარიშებით, ახლანდელმა პრეზიდენტმა კარტერმა, რომელიც ცდილობს ამ პოსტის შენარჩუნებას, უზრუნველყო თავისთვის აგვისტოში დანიშნული დემოკრატთა ყრილობის 1959 დელეგატის მხარდაჭერა, მაშინ, როცა საჭიროა 1666 დელეგატის ხმა. კალიფორნიის ყოფილმა გუბერნატორმა რეიგანმა მოაგროვა 1465 დელეგატის ხმა და უზრუნველყო მისი დასახელება რესპუბლიკელთა ყრილობის მიერ, რომელიც ივლისში გაიმართება. გამარჯვებისათვის საჭიროა 998 დელეგატის ხმა.

დემოკრატ სენატორს ე. კენედი აქვს 1175 დელეგატის ხმა. მიუხედავად ამისა, მან განაცხადა, რომ არ აპირებს უარი თქვას შემდგომ ბრძოლაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტისათვის და ეცდება უშუალოდ ყრილობაზე მიაღწიოს ძალთა თანაფარდობის შეცვლას.

პირველადი არჩევნების დროს გამოაშკარავდა ყველა მანკი ამერიკის პოლიტიკური სისტემისა, რომლის დროს ძალაუფლება ქვეყანაში ფაქტობრივად უზურპირებული აქვთ ორი ბურჟუაზიული პარტიის დამქაშებს. ამ პარტიებში პრეზიდენტობის კანდიდატთა დასახელება დამოკიდებულია ფულის რაოდენობასა და საარჩევნო მაქინაციებზე. ასეთ მაქინაციებს, აღნიშნავს პრესა, არ თაკილობდა თეთრი სახლის ახლანდელი პატრონიც. სარგებლობდა რა პრეზიდენტის მდგომარეობით, იგი ფინანსურ ზემოქმედებას ახდენდა იმ შტატების პარტიულ ხელმძღვანელებზე, სადაც მისი მდგომარეობა არ იყო მტკიცე.

კარტერმა, აღნიშნავენ აქ, შეძლო თავიდან აეცილებინა ქვეყნის მტკივნეული საშინაო პრობლემების, აღმინისტრაციის საგარეო-პოლიტიკური კურსის ჩაფუშვის საჯარო განხილვა. საკუთარი ინტერესების მისაღწევად მას საზოგადოებრივი აზრი შეცდომაში შეჰყავდა. ხელოვნურად შექმნილ საერთაშორისო კრიზისებზე გადაჰქონდა ამომრჩეველთა ყურადღება. საარჩევნო მიზნებს ემსახურებოდა აგრეთვე ადმინისტრაციის მიერ გაჩაღებული შოვინიზმის, მილიტარიზმისა და ანტისაბჭოურობის უპრეცედენტო კამპანია.

„ამომრჩეველები აღტაცებული არ არიან არც ერთი ახლანდელი კანდიდატით. პირველადი არჩევნები მთავრდება პირქუში უკმაყოფილების ატმოსფეროში“,— აღნიშნავს ჟურნალი „ტაიმი“.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საკანონმდებლო კორესპონდენტმა ამის გამო შენიშნა: მომავალ ნოემბერში პრეზიდენტის არჩევნების დროს ამერიკელებს „არას“ თქმა რომ შეეძლოთ, მომდევნო 4 წლის მანძილზე თეთრი სახლის პატრონის სავარძელი ცარიელი დარჩებოდაო.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

5 ივნისი

● **ვარშავა. ახალი სამკურნალო დაწესებულება შეემატა მაღარო „პოლკოვიცეს“ (ლეგნიცის სავოევოდო) ჯანმრთელობის სამსახურს. მოქმედთა მწყობრში ჩადგა განყოფილება, რომელიც ყოველდღიურად მიიღებს რადიოულიტით, რენგატგენმით, სხვა ნეიულებებით დაავადებულ 150 პაციენტს. ახლა მაღაროელთა პოლიკლინიკის შემადგენლობაშია ფიზიოთერაპიული კაბინეტი, საცურაო აუზი, ტანვარჯიშის დარბაზი, სოლარიუმი და ორი ფინური აბანო.**

● **ბონი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გრძელდება წვრილი და საშუალო ფირმებისა და სამრეწველო საწარმოთა გაკოტრების პროცესი. ვერ გაუძლეს რა მსხვილ მონოპოლიებთან და კონცერნებთან კონკურენციას, მიმდინარე წლის მარტში, როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვიცეკანცლერის სტატისტიკური სამმართველო იუწყება, გაკოტრდა 500-ზე მეტი ფირმა და საწარმო.**

● **ქაბული. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მხარდასაჭერად მასობრივი მიტინგები მიმდინარეობს ავღანეთის ბევრ პროვინციაში. გლეხები, მუშები, ინტელიგენციისა და სასულიერო წოდების წარმომადგენლნი გულისწყრომით გმობენ რევოლუციის მტრების გამოხდომებს ქვეყნის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული სუვერენიტეტის წინააღმდეგ.**

... ...

ბამანი, 5 ივნისი. აქ სამხედრო ტრიბუნალის სასამართლოს წინაშე წარდგა ამერიკის შეერთებულ შტატებში განლაგებულ და ფილიპინების ახლანდელი მთავრობისადმი მტრულ ორგანიზაციებთან დაკავშირებულ შეთქმულთა ჯგუფი.

ისინი დააპატიმრეს გასული წლის დამლევს და ბრალად დასდეს ძირგამომთხრელი, მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ტერორისტებმა რამდენიმე დიდი ხანძარი გააჩინეს დიდი მანილის რაიონში და მთავრობის წევრებზე დივერსიებისა და თავდასხმების სერიას ამზადებდნენ. შეთქმულთა სამალებიდან ამოღებულია ამერიკის შეერთებული შტატებიდან არალეგალურად მიწოდებული დიდძალი იარაღი და ასაფთქმელი ნივთიერებანი, აგრეთვე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სპეციალური ინსტრუქციები დივერსიულ-ტერორისტული ოპერაციების მოწყობისათვის.

როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, მთავარი ორგანიზატორები შეთქმულებისა, რომლის მიზანი იყო ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება, შეერთებულ შტატებში იმალებიან.

კომუნისტი 3



თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1980-81 წლისათვის

წარმოებას მოწყვეტით (დღის დასწრებული) **სამკურნალო,** (ქართული და რუსული სექტორები), **პედიატრიის, სანიტარია-ჰიგიენის, სტომატოლოგიის და ფარმაცევტიკის ფაკულტეტებზე** (ქართული სექტორი).

მისაღებ გამოცდაზე დაშვებიან სსრ კავშირის ორივე სქესის 35 წლამდე ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება და წარმოადგენენ დადებითის დასასიათების ინსტიტუტში შესასვლელად.

საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულთათვის სავალდებულოა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პროფილით მუშაობის 3 წლის სტაჟი. აღნიშნული სტაჟი არ მოითხოვებათ იმათ, ვინც საშუალო სპეციალური სასწავლებელი წარჩინების დიპლომით დაამთავრეს, აგრეთვე, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 22 აგვისტოს № 656 დადგენილების საფუძველზე, იმ სასწავლებელდამთავრებულებს, რომელთაც აქვთ ფრიადი და კარგი ნიშნები ყველა საგანში და სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭომ რეკომენდაცია მისცა კონსერვატორიაში სწავლის გასაგრძელებლად.

საშუალო სპეციალური სასწავლებლის დღის განყოფილების კურსდამთავრებულთაგან რეკომენდაცია უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად.

დოკუმენტის მიღების საფუძვლად ჩაითვლება დადგენილი ნიმუშის ცნობები (დანართები № 1, № 2).

ინსტიტუტში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე სათანადო ფორმით, საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულთა (ფორმა № 286), ხუთი ფოტოსურათი გადაღებული უქუდოდ (ზომა 3X4 სმ.), საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ დამოწმებული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, კოლმეურნეთათვის — გამგეობის თავმჯდომარის მიერ დამოწმებული ამონაწერი კოლმეურნეობის შრომის წიგნაკიდან, რომელშიც აღინიშნება დაწესებული გამომუშავების მინიმუმი კალენდარული წლისათვის.

საშუალო სკოლის დამთავრების მომდევნო წლებში შემსვლელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს პრაქტიკული მუშაობის სულ ცოტა 6 თვის სტაჟი ყოველი იმ წლისათვის, როცა არ სწავლობდა.

ინსტიტუტში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტსა და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას (უპასპორტო დაბადების მოწმობასთან ერთად წარმოადგენს სასოფლო საბჭოს მიერ გაცემულ ცნობას).

შემომსვლელნი გამოცდებს ჩაბარებენ შემდეგ საგნებში: ფიზიკა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა — ქართული სექტორისათვის), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა — რუსული სექტორისათვის), ქიმია (ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი).

შენიშვნა: ქართულ ენასა და ლიტერატურაში, აგრეთვე რუსულ ენასა და ლიტერატურაში წერა მოეწყობა თხზულების სახით.

ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლადამთავრებულნი, საშუალო სპეციალური სასწავლებელდამთავრებულნი, საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ფიზიკაში (წერა). ისინი, ვინც გამოცდას „ხუთზე“ ჩაბარებენ, თავისუფლდებიან მისაღები გამოცდების სხვა საგნების ჩაბარებისაგან, ხოლო ისინი, ვინც „ოთხს“ ან „სამს“ მიიღებენ, აბარებენ გამოცდებს ყველა სხვა შესაბამის საგნში. პროფტექნიკური სასწავლებლის წარჩინებიან კურსდამთავრებულნი, რომელთაც აქვთ სრული საშუალო განათლება, გამოცდებზე დაიშვებიან სავალდებულო მუშაობის სტაჟის გარეშე.

საბუთები მიიღება 20 ივნისიდან 31 ივლისამდე ყოველდღე (გარდა კვირისა) **10-დან 16 საათამდე.**

მისაღები გამოცდები გაიმართება 1-დან 20 აგვისტომდე, ჩარიცხვა — 21-დან 25 აგვისტომდე.

ჩარიცხულ სტუდენტთა რეგისტრაცია იწარმოებს 28-დან 30 აგვისტომდე. რეგისტრაციის დროს სავალდებულოა წარმოადგინოთ სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი. ჩარიცხული სტუდენტები, რომლებიც არასაპატიო მიზეზების გამო 1 სექტემბრიდან არ დაიწყებენ მეცადინეობას 10 დღის განმავლობაში, ამორიცხებიან სტუდენტთა შემადგენლობიდან.

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, № 29, მეორე სასწავლო კორპუსი.

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

□ 9 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 17.35 — საბჭოთა კავშირის პირველობა წყალში ხტომაში (მ.), 18.00 — აბიგურიენგთათვის — ბიოლოგია (ფ.), 18.30 — პოლონური საგალვევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მიწანი, რომელიც სიცოცხლეზე მეგია“. პირველი სერია (ქართულ ენაზე), 19.30 — „მოამბე“ (ფ.), 20.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე: მოსკოვის „სპარტაკი“ — ერევნის „არარატი“ (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „ჯაკობ ბუჩინი“ (ფ.), 23.35 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — მოწვალეთათვის — მხატვრული ფილმი „ლუბოროვსკი“. 17.05 — დოკუმენტური ფილმი „ლენინი და დრო“ (ფ.), 18.05 — ლიტერატურული თვალგრი. რ. ინანიშვილი — „ჩიგიების გამომზათბრებელი“ (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — „25 წელი ეტერადაზე“ — ეთერ ჭელიძე (ფ.).

□ 10 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 17.30 — აბიგურიენგთათვის — ქართული ენა (ფ.), 18.00 — განცხადებები (ფ.), 18.05 — შევიდწვალოთ ინგლისური ენა (ფ.), 18.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.45 — პოლონური საგალვევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მიწანი, რომელიც სიცოცხლეზე მეგია“. მეორე სერია (ქართულ ენაზე), 19.45 — „დღის მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — საგალვევიზიო მხატვრული ფილმი, 20.15 — „ლაათნური ამერიკა: ბრძოლის ანალი ეკუპი“. ურუგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის როდნელ არისმენდის გამოსვლა (მ.). 20.25 — „მოამბე“ (ფ.), 21.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — ეთერშია კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე. 21.25 — საესგრადო კონცერტი (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „ვაგრძელებთ საუბარს მუსიკაზე“ (მ.),

მეორე პროგრამით: 16.00 — მულტიპლიკაციური ფილმები, 16.30 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. საგალვევიზიო დოკუმენტური ფილმი „პირადი პასუხისმგებლობით“ (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — კინონარკვევი, 17.20 — „ბომბე რეაბუნელების მუსიკალური ხელოვნება“. — ერევანი, 18.05 — ფილმი დოკუმენტური ფილმები: „ჯა-ჩვენს დიად სამშობლოში“. საგალვევიზიო სიმპაბუკი“, „მუმმანსკი“ (ფ.), 18.45 — საგალვევიზიო მხატვრული ფილმი „ოპ, სიცოცხლეო“.

□ 11 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 17.30 — აბიგურიენგთათვის — მათემატიკა (ფ.), 18.00 — განცხადებები (ფ.). 18.05 — შევიდწვალოთ ბერძნული ენა (ფ.), 18.35 — „კინონარკვევი. 18.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.00 — მოსწავლეთათვის — „კონცერტიანი შეხვედრა“ (განმეორებით. ფ.), 19.45 — „დღის მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — „ეკრანზეა კინოკომედია“. ქართული მხატვრული ფილმი „ქალაქი ანარა“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — სპორტული მიმოხილვა (ფ.), 23.05 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — დოკუმენტური ფილმი „მწვანე სახლი“, 16.50 — ქართული მხატვრული ფილმი „წინაპართა მიწა“, 18.15 — განცხადებები (ფ.), 18.20 — სტუდენტებისათვის — მასალათა გამძლეობა (ფ.), 19.05 — „უკრავს ლიქსო თორაძე“ (ფ.).

□ 12 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 17.00 — აბიგურიენგთათვის • — ფიზიკა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.). 17.35 — უმცროსკლასელთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას (ფ.), 18.05 — პოლონური საგალვევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მიწანი, რომელიც სიცოცხლეზე მეგია“. მესამე სერია, (ქართულ ენაზე), 19.05 — „ლენინური გვარდიის ჯარისკაცები“. ალიოშა ჯაფარიძე (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 20.50 — საგალვევიზიო მხატვრული ფილმი „ნუ ესვრით თეთრ გედებს“. პირველი სერია. პრემიერა (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — კონცერტი, 23.15 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 17.00 — მხატვრული ფილმი „ალიქსანდრე პარხომენკო“, 18.30 — განცხადებები (ფ.). 18.35 — „ეკრანზეა თანა“ — საგალვევიზიო ჟურნალი (ფ.), 19.00 — საგალვევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოგზაურობა არზრუმში“ (ფ.).

□ 13 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 17.15 — აბიგურიენგთათვის — ქიმია (ფ.), 17.45 — განცხადებები (ფ.), 17.50 — შევისწავლოთ ფრანგული ენა (ფ.), 18.20 — მოსწავლეთათვის — „გზა მშვენიერებისაკენ“, 19.00 — ლიგერატურული გადაცემა „ცხადფეგა“ (ფ.). 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — „ბრიუმფი ლა-ს-ალა“. საქართველოს ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი 35 წლისაა, 20.50 — მუსიკალური შესვენება, 20.55 — საგალვევიზიო მხატვრული ფილმი „ნუ ესვრით თეთრ გედებს“. მეორე სერია. პრემიერა (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „ვერნისაჟი“, 23.15 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — „მიდვესალმები ქართულ მიწას“ მიხეილ შოლოხოვი (ფ.). 16.35 — განცხადებები (ფ.), 16.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. საგალვევიზიო დოკუმენტური ფილმი — „ქალაქი და სოფელი“ (ფ.), 17.40 — მოკლემეგრაგიანი ფილმების პროგრამა, 18.25 — „ეკრანზეა კინოკომედია“. მხატვრული ფილმი „ჯარისკაცი ივანე ბრონკინი“.

□ 14 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. საგალვევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბუნება და ქალაქი“ (ფ.), 10.00 — შევისწავლოთ ქართული ენა (ფ.), 10.30 — „ცეროდინას ეკრანი“ (ფ.), 11.00 — „თეატრალური ოჯახები“ (განმეორებით. ფ.), 11.45 — „კინოჟურნალი“, 11.55 — „მეტი ყურადღება სანალოო მოხმარების საგნებს“, 12.30 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (მ.). 13.00 — პოლონური საგალვევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მიწანი, რომელიც სიცოცხლეზე მეგია“. მეოთხე სერია (ქართულ ენაზე), 14.10 — „თბილისი და თბილისელები“ (ფ.). 14.40 — საესგრადო გადაცემა „თქვენი თხოვნით“ — სვანეთი (განმეორებით. ფ.), 15.35 — „ჯანმრთელობა“ — საგალვევიზიო პროგრამა (ფ.), 16.15 — საგალვევიზიო დოკუმენტური ფილმი „შინგას ცისფერი სამკაული“ (ფ.), 16.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.15 — „ცხოველთა სამყაროში“ (მ.), 18.15 — „ვაშა ამ ახალ საქართველოს, გაგრძელებას“ — თეთრი წყაროს რაიონი, 19.10 — მუსიკალური შესვენება, 19.15 — მოსწავლეთათვის — „ანთიათასანი ზრდილობა“ (ფ.), 20.00 — „ვაზეთ „პრავდის“ პოლეგიკერი მიმომხილველის ი. ფუკოვის საუბარი საერთაშორისო თემებზე“ (ფ.), 20.45 — „მოამბე“ (ფ.), 21.20 — „ეკრანზეა“ — საქართველოს ეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის 35 წლისაა, 22.00 — „ეკრანი“ (მ.), 22.35 — „ოლიმპიადა 80“ — ეთერში „შორსმჭვრეტელი“ ფეხბურთელის „ოქროს ორფეხას“ ლაურეატთა კონცერტი. გადმოცემა ბულგარეთიდან.

მეორე პროგრამით: 15.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 15.40 — დოკუმენტური ფილმი. „მოზარდი“, 16.40 — კონცერტი, 17.20 — გასართობი კინოპროგრამა ბავშვებისათვის. 18.05 — მხატვრული ფილმი „ამბორგილი პრესის ხელმწიფე“.

□ 15 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — საგალვევიზიო დოკუმენტური ფილმი „ასკოვი“ (ფ.). 10.00 — შევისწავლოთ რუსული ენა (ფ.), 10.30 — „ბაღვიძარა“ (მ.), 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიასხლენი, პრობლემები“ (ანამეორებით. ფ.), 11.45 — მულტიპლიკაციური ფილმი; 12.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — ფილმი ფოსტა“ (მ.), 13.15 — ტელეკურსილთათვის — ქართული ენა და ლიტერატურა. სტუდიაშია დოცენტი თ. ავანჯანტარაძე (ფ.), 13.45 — პოლონური საგალვევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მიწანი, რომელიც სიცოცხლეზე მეგია“. მეხუთე სერია (ქართულ ენაზე), 14.45 — „კინოთეატრი“, 15.15 — მოსწავლეთათვის — „ფესტივალის შემდეგ“ (ფ.), 15.45 — „ვასანაკი“ (ფ.), 16.15 — „კინოს მოყვარულთათვის“. 17.30 — „ბავშვურთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს“ — თბილისის ძველი უბნების რეკონსტრუქცია. გადაცემა მეორე. 18.00 — „ღღეს — მედიცინის მუშაკის დღეა“ (მ.), 18.15 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.30 — „მოამბე“ (ფ.), 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.), 19.45 — საესგრადო კონცერტი (ფ.). 20.15 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (მ), 21.15 — „ქართული ცეკვის ზეიმი“. საქართველოს სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის 35 წლისაა, 22.00 — „ეკრანი“ (მ.), 22.35 — „ოლიმპიადა 80“ — ეთერში „შორსმჭვრეტელის“ ფეხბურთელის „ოქროს ორფეხას“ ლაურეატთა კონცერტი. გადმოცემა ბულგარეთიდან.

მეორე პროგრამით: 15.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 15.40 — დოკუმენტური ფილმი. „მოზარდი“, 16.40 — კონცერტი, 17.20 — გასართობი კინოპროგრამა ბავშვებისათვის. 18.05 — მხატვრული ფილმი „ამბორგილი პრესის ხელმწიფე“.

□ 15 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — საგალვევიზიო დოკუმენტური ფილმი „ასკოვი“ (ფ.). 10.00 — შევისწავლოთ რუსული ენა (ფ.), 10.30 — „ბაღვიძარა“ (მ.), 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიასხლენი, პრობლემები“ (ანამეორებით. ფ.), 11.45 — მულტიპლიკაციური ფილმი; 12.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — „დილის ფოსტა“ (მ.), 13.15 — ტელეკურსილთათვის — ქართული ენა და ლიტერატურა. სტუდიაშია დოცენტი თ. ავანჯანტარაძე (ფ.), 13.45 — პოლონური საგალვევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მიწანი, რომელიც სიცოცხლეზე მეგია“. მეხუთე სერია (ქართულ ენაზე), 14.45 — „კინოთეატრი“, 15.15 — „ეგანმეორებული“ — ეთერში „ეროვნული ანსამბლის“ ლაურეატთა კონცერტი. 17.30 — „ბავშვურთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს“ — თბილისის ძველი უბნების რეკონსტრუქცია. გადაცემა მეორე, 18.00 — „ღღეს — მედიცინის მუშაკის დღეა“ (მ.), 18.15 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.30 — „მოამბე“ (ფ.), 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.), 19.45 — საესგრადო კონცერტი (ფ.). 20.15 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (მ), 21.15 — „ქართული ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის 35 წლისაა, 22.00 — „ეკრანი“ (მ.), 22.35 — „ოლიმპიადა 80“ — ეთერში „შორსმჭვრეტელის“ ფეხბურთელის „ოქროს ორფეხას“ ლაურეატთა კონცერტი. გადმოცემა ბულგარეთიდან.

მეორე პროგრამით: 15.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 15.40 — დოკუმენტური ფილმი. „მოზარდი“, 16.40 — კონცერტი, 17.20 — გასართობი კინოპროგრამა ბავშვებისათვის. 18.05 — მხატვრული ფილმი „ამბორგილი პრესის ხელმწიფე“.

რა მოვისმინოთ

საქართველოს რადიოს ერთი ქვირის პროგრამა

□ 9 ივნისი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.00 — „ვაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.22 — მელოდიიდან მელოდიამდე, 11.10 — „ვაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.20 — ა. ელაუზენი. ბალეტ „რაიმანდას“ ნაწყვეტები, 11.40—„ჩვენი იმედი და მომავალი“, 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — ანსამბლ „75“-ის კონცერტი, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — დ. გურამიშვილის ლექსები, 12.30 — ს. ციხაძე. საკვარტეტო პიესები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 13.30 — „ვაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — აფხაზური ხალხური მელოდიები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. დ. კლდიაშვილი — „სამანიშვილის დედინაცვალი“. მოთხრობა (ანამეორებით. ფ.), 14.20 — მ. ფარეგნიანი. „ბალეტიდან „ბალეტამდე“. ფორტეპიანოს ორკესტრისათვის, 12.30 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — ბ. ფალიაშვილი. ოპერა „ლაგავრას“ ნაწყვეტები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მ.), 11.10 — „ვაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.20 — ფ. ამირეგი. აზერბაიჯანული კა-პრიჩიო, 11.40 — „ხუკუნო ქმობა“, 12.15 — ი. გურგულია. სიმღერები, 12.45 — „ეროზია უპირველეს ყოველისა“ — მ. ლებანიძის ლექსები, 12.30 — ვალსები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — მ. ელიანა. საფორტეპიანონო პიესები, 13.00 — „ფრო, ფოველები, ადამიანები“ (მ.), 13.30 — „ვაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ფ. ნინუა. „ახალგაზრდული სიმფონიის“ ანდანტე და სკერეკი, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. დ. კლდიაშვილი — „სამანიშვილის დედინაცვალი“. მოთხრობა (გაგრძელება), 14.20 — მ. ფარეგნია და ნ. გეგეა კონცერტი, 17.00 — „უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ო. ბაბინეკაძე. საფორტეპიანონო სონატა, 17.35 — „ფოსწავლეთათვის — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“ 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება“. კონცერტი, 19.00 — „პიროვნება და კოლექტივი“, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — „საერთაშორისო ცხოვრების აქტუალური პრობლემები“ (მ.), 20.30 — სსრ კავშირის „ბეთოვენი“ — ეროვნული ფეხბურთში: ეუთაისის „ტორპედო“ — ია ოოსლავლის „შინიკი“, ლენინგრადის „ზენიტი“ — ფორმიდვეს ფაკელი“. რეპორტაჟი ქუთაისიდან და ლენინგრადიდან, 21.00 — „ქილისპირული“, 21.15 — რადიოსადგური „სიმპაუკე“, 22.00 — ბ. ავერნაძე „ველი ქართული წარწერები“. ს. ნასიძე. მესამე კამერული სიმფონია, 23.30 — მელოდიან ჯინოსა და თეატრის მსახიობები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

□ 10 ივნისი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.00 — „ვაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — მელოდიიდან მელოდიამდე, 09.45 — დ. ონაგინელი. სიმღერები და რომანსები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე, 11.10 — „ვაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.20 — რ. შენდრინი. „ზნიარული ზაირები“, 11.45 — „პარაფიული ცხოვრება“ — საუბარი „კომუნისტი და ხალისი“, 12.15 — სიმღერები მორის ფოცხიშვილის ლექსებზე, 12.25 — „პოეზია, უპირველეს ყოველისა“. ვ. გაფრინდაშვილის ლექსები, 12.30 — „უკრავს ბ. იაშვილი, 13.30 — „ვაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — მოლდავური მელოდიები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. დ. კლდიაშვილი — „სამანიშვილის დედინაცვალი“. მოთხრობა (გაგრძელება), 14.20 — ბ. მუსორგსკი. „სურათების გამოფენიდან“, 17.00 — „უკანასკნელი ცნობები, 17.15 — საოპერო არიები. ბ. ალიშევას. შესრულებით, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება“, კონცერტი, 19.00 — „კულტურის კერები სოფლად“, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — **მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი** (მ.), 20.30 — რადიოოპერნალი „თბილისი-ბაკო-ერევანი“ (ბაქოდან), 21.00 — „ქილისპირული“, 21.15 — ახალგაზრდობისათვის. „სად დავუშვით შეცდომა“, 21.30 — ქართული საორკესტრო პიესები, 21.45 — საერთაშორისო დღიური (მ.), 22.00 — სცენები სპექტაკლებიდან „მუშაბის ჩრდილში“, 23.30 — საესგრადო კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

□ 11 ივნისი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.00 — „ვაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — მელოდიიდან მელოდიამდე, 09.45 — დ. ონაგინელი. სიმღერები და რომანსები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე, 11.10 — „ვაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.20 — რ. შენდრინი. „ზნიარული ზაირები“, 11.45 — „პარაფიული ცხოვრება“ — საუბარი „კომუნისტი და ხალისი“, 12.15 — სიმღერები მორის ფოცხიშვილის ლექსებზე, 12.25 — „პოეზია, უპირველეს ყოველისა“. ვ. გაფრინდაშვილის ლექსები, 12.30 — „უკრავს ბ. იაშვილი, 13.30 — „ვაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — მოლდავური მელოდიები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. დ. კლდიაშვილი — „სამანიშვილის დედინაცვალი“. მოთხრობა (გაგრძელება), 14.20 — მ. მუსორგსკი. „სურათების გამოფენიდან“, 17.00 — „უკანასკნელი ცნობები, 17.15 — საოპერო არიები. ბ. ალიშევას. შესრულებით, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება“, კონცერტი, 19.00 — „ეროვნული ფეხბურთი“, 19.15 — „ეროვნული ფეხბურთი“, 19.40 — „ეროვნული ფეხბურთი“, 20.30 — „ეროვნული ფეხბურთი“, 21.15 — „ეროვნული ფეხბურთი“, 21.30 — „ეროვნული ფეხბურთი“, 22.00 — „ეროვნული ფეხბურთი“, 22.35 — „ეროვნული ფეხბურთი“, 23.55 — „ეროვნული ფეხბურთი“.

□ 12 ივნისი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.31 — დილის

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს აპარატის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ისაკ დავითის ძე სიხარულიძე

და სამძიმარს უცხადებენ გასვენებულის ოჯახს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 ЗХ 08032 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. ბეჭდავს ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ჩოშარაულის 29.

თბილისის 3. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

აცხადებს მიღებას 1980-81 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე: ფორტეპიანო; საორკესტრო საკრავები; სოლო სიმღერა; გუნდის დირიჟორობა; კომპოზიცია; მუსიკათმცოდნეობა.

სწავლება ფორმა — წარმოებს მოწყვეტით (დღის დასწრებული). სწავლება ქართულ ენაზეა.

მისაღებ გამოცდებზე დაშვებიან სსრ კავშირის ორივე სქესის 35 წლამდე ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება.

საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულთათვის სავალდებულოა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პროფილით მუშაობის 3 წლის სტაჟი. აღნიშნული სტაჟი არ მოითხოვებათ იმათ, ვინც საშუალო სპეციალური სასწავლებელი წარჩინების დიპლომით დაამთავრეს, აგრეთვე, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 22 აგვისტოს № 656 დადგენილების საფუძველზე, იმ სასწავლებელდამთავრებულებს, რომელთაც აქვთ ფრიადი და კარგი ნიშნები ყველა საგანში და სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭომ რეკომენდაცია მისცა კონსერვატორიაში სწავლის გასაგრძელებლად.



საბუთების მიღების საფუძვლად ჩაითვლება დადგენილი ნიმუშის ცნობები (დანართები № 1 და № 2), რომლებიც გაცემულია სასწავლებლის მიერ.

კონსერვატორიაში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე სათანადო ფორმით; საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი); საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დიპლომის დანართს ჩაბარებული საგნების შესახებ; დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, რომელსაც იძლევიან საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები, კოლეგიურ ნეობათა გამგეობების თავმჯდომარეები, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დიპლომის დანართს; დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, რომელსაც იძლევიან პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები; იმ პირებს, რომლებსაც პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არ მოითხოვებათ, შეუძლიათ წარმოადგინონ დახასიათება, გაცემული იმ სკოლებისა და სასწავლებელთა ხელმძღვანელების მიერ, სადაც ისინი სწავლობდნენ, ამონაწერი შრომის ან კოლმეურნის წიგნაკიდან; სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); ოთხი ფოტოსურათი (ზომით 3X4 სმ);

პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

კონსერვატორიაში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

სპეციალობა (გამოცდა სპეციალობაში შედგება რამდენიმე ნაწილისაგან და თითოეულ ნაწილში ცალკე ნიშანი იწერება).

ქართული ენა და ლიტერატურა (წერა. ზეპირი).

სსრკ ისტორია (ზეპირი).

გამოცდა სპეციალობაში ფორტეპიანოსა და საორკესტრო საკრავების სპეციალობებზე შეიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა) პროგრამის შესრულება და კოლოკვიუმი,

ბ) სოლფეჯიო (წერა, ზეპირი),

გ) ჰარმონია (წერა, ზეპირი).

სოლო სიმღერის სპეციალობაზე

ა) პროგრამის შესრულება და კოლოკვიუმი (გამოცდა ორ ტურად),

ბ) სოლფეჯიო (წერა, ზეპირი),

გ) მუსიკის ელემენტარული თეორია (წერა, ზეპირი).

გუნდის დირიჟორის სპეციალობაზე

ა) სოლფეჯიო (წერა),

ბ) სოლფეჯიო (ზეპირი),

გ) პროგრამის შესრულება და კოლოკვიუმი,

დ) ჰარმონია (წერა, ზეპირი),

ე) ფორტეპიანო.

კომპოზიციის სპეციალობაზე

ა) საკუთარი ნაწარმოების შესრულება (ორ ტურად: პირველ ტურში აბიტურიენტმა დამოუკიდებლად უნდა შექმნას მცირე ფორმის ნაწარმოები მიცემულ თემაზე; მეორე ტური — საკუთარი ნაწარმოების შესრულება და კოლოკვიუმი),

ბ) სოლფეჯიო (წერა, ზეპირი),

გ) ჰარმონია (წერა, ზეპირი),

დ) მუსლიტერატურა (ზეპირი),

ე) ფორტეპიანო.

მუსიკათმცოდნეობის სპეციალობაზე

ა) სოლფეჯიო (წერა),

ბ) სოლფეჯიო (ზეპირი),

გ) ჰარმონია (წერა, ზეპირი),

დ) რეფერატი (წერა),

ე) მუსლიტერატურა (ზეპირი),

ვ) ფორტეპიანო.

**ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი და საშუალო სპეციალური სასწავლებლ